| | | |
|---|---|---|
| | | კონვენციაზე''. ამის შემდეგ ისევ სთხოვეთ, საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბონ სტუდენტებმა რას გულისხმობს ეს ტერმინი. სავარაუდოდ, ისინი ამას შეძლებენ, თუმცა შემდეგ თქვენ მათ მაინც მიეცით ზუსტი განმარტება - **convention** "შეთანხმება", "ხელშეკრულება" სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება. (სახელმწიფოები, რომელთაც განახორციელეს კონვენციის რატიფიცირება, ცნობილნი ასევე "ხელშემკვრელ სახელმწიფოებად", იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და დაიცვან კონვენციით გათვალისწინებული ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები არა მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სასარგებლოდ.)<br>შემდეგ მიეცით დანართის 91ე გვ.-ზე დატანილი ამბავი N2 და სთხოვეთ დაამუშავეთ ეს სიტუაციური მაგალითი დანართის 83-84 გვერდებზე დატანილი შესაბამისი კითხვებით (თანამედროვეობასთან დააკავშირონ, სირიის ომთან კავშირში)<br>*******<br>დაეკითხეთ სტუდენტებს მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო შეთანხმებების დაცვა რა ორგანოების პასუხიმგებელობაა და როდიდან გაჩნდა განსაკუთრებით ამ საკითხზე ზრუნვის აუცილებლობა? პასუხი იქნება სხვადასხვა, მათ შორის შესაძლოა სწორიც. მიეცით ,,დიოგენე''-ს მე-12 კლასის წიგნიდან პარაგრაფი 27 და 48-ე (წყაროებიანად) წასაკითხად. (სასურველია პირველი და მეორე მსოფლიო ომების წინაპირობებისა და მსვლელობის ირგვლივ თქვენ გქონდეთ მინი-ლექცია). |

| | | |
|---|---|---|
| | | შემდეგ გაკვეთილზე ვენის დიაგრამის (იხ. თავი 1) მეშვეობით მოახდინეთ ერთა ლიგისა და გაეროს შედარება. სთხოვეთ სტუდენტებმა გამოყონ საერთო მახასიათებლები და სპეციფიკაციები. ამსჯელეთ სტუდენტები საკითხზე - რამ განაპირობა საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად დამატებითი ღონისძიებების გატარება?<br><br>საკითხის შეჯამების მიზნით მოაწყვეთ თოქ-შოუ თემაზე - დედამიწაზე არ არის მშვიდობა სამართლის გარეშე (თოქშოუში მონაწილეებს განსაკუთრებული აქცენტები გააკეთებინეთ იმ ხელისშემშლელ ფაქტორების იდენტიფიკაციაზე, რაც მშვიდობის შენარჩუნებას შეიძლება აბრკოლებდეს და კონფლიქტის ძალადობრივ მექანიზმებში გადასვლას განაპირობებდეს). |
| | გაკვეთილის ხანგრძლივობა | 6 საგაკვეთილო საათი |
| | შეფასება | გაკვეთილის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, არგუმენტების მოხმობის, არგუმენტებით სათანადოდ ოპერირების დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

**გაკვეთლების სერია თემაზე:** რატომ ხდება რევოლუციები?

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| **შედეგი:**<br>1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br>1. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში; | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ:<br>✓ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის მნიშვნელობა რევოლუციურ პროცესებში;<br>✓ რევოლუციის, როგორც კონფლიქტის ფორმის, არსი, გამომწვევი მიზეზები, შედეგები და მისი პრევენციის შესაძლებლობები. |
| | **რესურსები** | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 400.<br>ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 122-126; 313-314; 325.<br>ინტერნეტ-რესურსი:<br>https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90 |

| | | |
|---|---|---|
| 6. წარსულსა და თანამედროვეობაში სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების განხილვის საფუძველზე წარმოაჩენს ამგვარ მოვლენათა შედეგებს დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლის (ან უკუსვლის) კუთხით.<br><br>**შედეგი:**<br>2. მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br>**შესრულების კრიტერიუმები:**<br>2. არგუმენტირებულა | **გაკვეთილების მსვლელობა** (აქ პედაგოგს თითქმის აღარ ვთავაზობთ კონკრეტულ აქტივობებს. მათ თავად შეუძლიათ მოცემული მიზნებისა და ძირითადი რეკომენდაცი-ების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და ამისათვის პირველ თავში მოცემული ტიპობრივი აქტივობების, ასევე, ქვემოთ „აქტივობების ბანკში“ მოცემული რჩევების გამოყენება) | **I გაკვეთილი**<br>გაკვეთილს მასწავლებელი იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდით და სტუდენტებს უსვამს შეკითხვებს: რა არის რევოლუცია? რომელი რევოლუციების შესახებ გსმენიათ? მოსალოდნელია, რომ მათ ყველაზე მეტად ე.წ. „ვარდების რევოლუციის შესახებ“ ექნებათ ინფორმაცია. ეს კარგი საშუალება იქნება პედაგოგისათვის, რომ სტუდენტებისათვის ნაცნობი ამ თანამედროვე მოვლენის განხილვის მეშვეობით დააფიქროს ისინი ზოგადად რევოლუციის არსსა და გამომწვევ მიზეზებზე. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ისტორიაში მომხდარი მნიშვნელოვანი რევოლუციებით სტუდენტების დაინტერესება.<br>მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, რომ ამ თემატურ ბლოკში რევოლუციებს განვიხილავთ, როგორც კონფლიქტის ფორმას. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მის გამომწვევ მიზეზებს და რევოლუციის მიერ მოტანილ შედეგებს, ასევე მისი მოგვარების შესაძლებლობებსაც.<br>პირველი საგაკვეთილო საათი შესაძლებელია მთლიანად მივუძღვნათ „ვარდების რევოლუციას“ და იგი ჩვენთვის საინტერესო კუთხით განვიხილოთ სტუდენტებთან ერთად: რატომ მოხდა ეს რევოლუცია? როგორ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება? რა შედეგები მოუტანა მან საქართველოს? ამ კითხვებზე პასუხის მოსაძებნად სტუდენტებს შეგვიძლია შევთავაზოთ როგორც ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელო („დიოგენე“, გვ. 325), ასევე დამატებითი ინტერნეტ-რესურსები (მაგალითად, სტატია ქართული ვიკიპედიიდან). ასევე, შეგვიძლია მინი-ლექციის სახით სტუდენტებს მოკლედ მივაწოდოთ თეორიული ინფორმაცია, თუ რას ეწოდება რევოლუცია, რა სახის რევოლუციებია ცნობილი (ძალადობრივი, |

| | | |
|---|---|---|
| და მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>3. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br>4. ანალიზის საფუძველზე მსჯელობს არაკანონიერი ქმედებების შედეგებზე;<br>5. კონკრეტული მაგალითის საფუძველზე არგუმენტირებულა და მსჯელობს ადამიანის პიროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებზე და სოციალურ პასუხისმგებლობაზე; | | უსისხლო, რევოლუცია „ზემოდან“...). ბოლოს შეგვიძლია სტუდენტებს ვუთხრათ, რომ დღეს დავიწყეთ და მომდევნო ოთხი გაკვეთილის განმავლობაში შევისწავლით მსოფლიოში მომხდარ რამდენიმე მნიშვნელოვან რევოლუციას, რათა ამ ფენომენის არსში კარგად გავერკვეთ.<br><br>**II გაკვეთილი**<br>1917 წლის თებერვლის **რუსეთის რევოლუციამ**, რომელიც მართალია საქართველოში „დეპეშით მივიღეთ“, უდიდესი გავლენები მოახდინა ჩვენი ქვეყნის, რუსეთისა და მთელი მსოფლიოს შემდგომ განვითარებაზე. ამ მოვლენის შესასწავლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელო (გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 122-126). ისევე როგორც ყველა სხვა რევოლუციის განხილვისას (იხ. ქვემოთ), ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობებზე.<br><br>**III გაკვეთილი**<br>**საფრანგეთის დიდ რევოლუციას** სოციალური უთანასწორობისა და მმართველობის სისტემის ცვალებადობის კუთხით მეორე თავში უკვე შევეხეთ. ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ რევოლუციის გამომწვევ ყველა მიზეზზე, მის პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებზე და სტუდენტები დავაფიქროთ იმაზე, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ძალადობა, სისხლისღვრა, ტერორი და რევოლუციური ომი. ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ისტორიის მე-11 კლასის სახელმძღვანელო (გამომცემლობა |

| | | |
|---|---|---|
| **შედეგი:**<br>4. მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბების, დროში ცვალებადობისა და ფუნქციონირების კვლევა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმები:**<br>2. სწორად განმარტავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობას;<br>4. პირველად და მეორად წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს მმართველობით სტრუქტურების ცვლილებების მიზეზებზე;<br><br>**შედეგი:**<br>5. სოციალური სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების | | „დიოგენე", გვ. 373-382). რადგან მასალა საკმაოდ ვრცელია, სასურველია, რომ პედაგოგმა თავად შეარჩიოს გაკვეთილის მიზნის ადეკვატური ტექსტები და წყაროები სახელმძღვანელოდან და მათზე მოახდინოს აქცენტირება.<br><br>**IV გაკვეთილი**<br>მეოთხე საათი ეძღვნება ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – **XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციებს.** სტუდენტები შეგვიძლია დავყოთ ჯგუფებად(ან თითო ადამიანად) და დავავალოთ, გაეცნონ ტექსტსა და წყაროებს ისტორიის მე-11 კლასის სახელმძღვანელოდან (გამომცემლობა „დიოგენე", გვ. 318-322). მათ უნდა ამოწერონ რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და მოახდინონ ამის პრეზენტაცია, რის შემდეგაც უნდა გაიმართოს დისკუსია: როგორ შეიძლებოდა ინგლისის რევოლუციის თავიდან არიდება? შესაძლებელი იქნებოდა თუ არა დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარება? მეორე საკითხზე მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ სტუდენტებს შეგვიძლია მივაწოდოთ ინფორმაცია „სახელოვანი რევოლუციის" შესახებ (ისტორია, მე-11კლასი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", გვ. 400), როგორც მაგალითი იმისა, რომ კონფლიქტი შესაძლებელია არაძალადობრივად და უსისხლოდ მოგვარდეს.<br><br>**V გაკვეთილი**<br>რევოლუციური თემატიკა შეგვიძლია დავასრულოთ მეოცე საუკუნის **„ხავერდოვანი რევოლუციებით"**, როგორც საუკეთესო მაგალითით, თუ როგორ გვარდება დაპირისპირება თანამედროვე, ცივილიზებული მეთოდებით ძალადობისა და |

| | | |
|---|---|---|
| საფუძვლების კვლევა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმები:**<br>1. ერთმანეთს ადარებს ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებაში განსხვავებული სოციალური ფენების წარმომადგენლებსა და მათ უფლება-მოვალეობებს;<br><br>**შედეგი:**<br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა.<br>**შესრულების კრიტერიუმები:**<br>2. დასაბუთებულად მსჯელობს | | სისხლისღვრის გარეშე. თუმცა აქვე არ ვივიწყებთ პარალელურად მიმდინარე ძალადობრივ აქტებს, რომლებიც განვითარდა რუმინეთში.<br>სტუდენტებს შეგვიძლია დავამუშავებინოთ ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელოდან (გამომცემლობა „დიოგენე", გვ. 313-314) ქვეთავი „სოციალისტური ბანაკის კრახი" რითაც სტუდენტების გონებაში გამთლიანდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი „ხავერდოვანი რევოლუციების" ფენომენი.<br><br>**VI გაკვეთილი**<br>ამ საათზე სასურველია შეჯამდეს გავლილი თემა რევოლუციების შესახებ. უნდა გამოიკვეთოს რევოლუციის საერთო მახასიათებლები და მოხდეს მისი გამომწვევი მიზეზების ტიპოლოგიზაცია (მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფება). რეკომენდებულია, რომ შეჯამების შედეგები მატერიალიზდეს სტუდენტების მიერ შექმნილი სასწავლო პროექტით. ეს შეიძლება იყოს რევოლუციების მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის შესაძლებლობების ამსახველი ბუკლეტი, პლაკატი, კედლის გაზეთი, ბლოგი და ა. შ. ეს იქნება ერთგვარი რეპეტიცია შემაჯამებელი დავალების შესასრულებლად. |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 6 საგაკვეთილო საათი |

| | | |
|---|---|---|
| კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგებზე;<br>3. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე;<br>4. რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე აჯგუფებს ამათუ იმ ეპოქაში მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელ საშინაო და საგარეო ფაქტორებს. | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

**გაკვეთლების სერია თემაზე:** სამოქალაქო ომი და სახელმწიფო გადატრიალება

| სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგი:**<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:** | **მიზნები** | სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ:<br>✓ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის როლი სამოქალაქო ომში;<br>✓ სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო გადატრიალების, როგორც კონფლიქტის ფორმების, არსი, გამომწვევი მიზეზები, შედეგები და მისი პრევენციის შესაძლებლობები. |
| **სწავლის შედეგი:**<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:** | **რესურსები** | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 92-95.<br>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 64-66.<br>ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 108-110, 143 276-277.<br>ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 322-324. |

<table>
<tr><td>სწავლის შედეგი:</td><td></td><td>ინტერნეტ-რესურსი:<br>https://ka.wikipedia.org/wiki/რუსეთის_სამოქალაქო_ომი</td></tr>
<tr><td>შესრულების კრიტერიუმი:<br><br>სწავლის შედეგი:<br><br>შესრულების კრიტერიუმი:<br><br>სწავლის შედეგი:<br><br>შესრულების კრიტერიუმი:</td><td>გაკვეთილის მსვლელობა</td><td>I გაკვეთილი<br><br>გაკვეთილების ამ წყების კონცეფციაც, როგორც ყველა მანამდელისა, გულისხმობს იმას, რომ პედაგოგმა სტუდენტების პროვოცირება და საკითხით დაინტერესება უნდა მოახდინოს მათთვის ნაცნობი, შედარებით თანამედროვე ფაქტით/მოვლენით. საამისოდ შესაძლოა წარმატებული იყოს გონებრივი იერიში საქართველოს სამოქალაქო ომის თაობაზე, კერძოდ კი მისი მთავარი მონაწილეების – <u>ჯაბა იოსელიანის, ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის</u> შესახებ. ამ პიროვნებებზე სტუდენტებმა, როგორც წესი, ბევრი რამ იციან და ეს ხელსაყრელი მომენტი (ე.წ. „კაუჭი“) იქნება პედაგოგისთვის, რომ ისინი „ნაცნობი ცოდნებიდან“ „უცნობი ცოდნებისაკენ“ წაიყვანოს.<br>გონებრივი იერიშის შემდეგ სტუდენტებს შევიძლია შევთავაზოთ მასალა საქართველოს სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო გადატრიალების შესახებ ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელოებიდან („სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 276-277, ან გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 322-324). რამდენადაც მოვლენა უახლესი წარსულიდანაა, დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ პედაგოგმა (და შესაძლოა სტუდენტმაც) თავად შეიძლება შესთავაზოს საკუთარი გამოცდილებიდან. პედაგოგის მთავარი ამოცანა უნდა იყოს, რომ სტუდენტებმა</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგი:**<br><br><br><br>**შესრულების კრიტერიუმი:** | | შეძლონ სახელმწიფო გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის, როგორც კონფლიქტის ფორმის გააზრება. მათ უნდა მოახერხონ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების/ფაქტორების გამოვლენა, სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო გადატრიალების იურიდიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გარკვევა. სტუდენტებმა უნდა იმსჯელონ – შესაძლებელი იყო თუ არა ამ ტრაგიკული მოვლენის თავიდან აცილება ან ადრეულ ეტაპზევე მოგვარება.<br><br>**II გაკვეთილი** (2 საათი)<br><br>1917 წლის **ოქტომბრის გადატრიალება და სამოქალაქო ომი რუსეთში** საუკეთესო მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ რა საშინელი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს სახელმწიფო გადატრილება და მისგან გამომდინარე სამოქალაქო ომი. საკითხის დასამუშავებლად სტუდენტებს შეგვიძლია შევთავაზოთ კონკრეტული ტექსტები მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოებიდან („სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 108-110, 143 ან გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 124-126), ასევე სტატია ქართული ვიკიპედიიდან.<br><br>**III გაკვეთილი** (2 საათი)<br><br>**პელოპონესის ომი** (არაპროგრამული)[5] იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება არც ჩაითვალოს სამოქალაქო ომად, |

[5] გაკვეთილების ამ სერიაში აღარ ჩავრთეთ ინგლისის სამოქალაქო ომი, რადგან იგი უკვე ავსახეთ წინარე სერიაში „რატომ ხდება რევოლუციები?“ მაგრამ თუ მასწავლებელი საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია დამატებით კიდევ ერთხელ, ამჯერად კონკრეტულად 1642-1649

| | | |
|---|---|---|
| | | რადგან იგი ორ დამოუკიდებელ პოლისს (ქალაქ-სახელმწიფოს) და მათ მოკავშირეებს შორის გაჩაღებული კონფლიქტია. მიუხედავად ამისა, ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ მას მაინც სამოქალაქო ომად მოიხსენიებენ. ეს საშუალებას გვაძლევს სტუდენტები დებატების/დისკუსიისათვის განვაწყოთ: „პელოპონესის ომი – სამოქალაქო ომი თუ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი?“<br>პელოპონესის ომის შესასწავლად შესაძლებელია კვლავინდებურად ისტორიის მე-12 კლასის სახელმძღვანელოებიდან („სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 92-95, ან გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 64-66). |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 5 საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

წლების სამოქალაქო ომზე აქცენტით, შესთავაზოს თავის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში სასწავლო რესურსად შესაძლებელია ისტორიის მე-11 კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენება („სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 397-400, ან გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 322-324).

*************************************

## თემატური ბლოკის შეჯამება და სტუდენტების შეფასება

თემატური ბლოკის შეჯამების მნიშვნელოვანებაზე და წარმართვის ფორმაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ **(იხ. თავი 2**). ზემონათქვამიდან გამომდინარე, პედაგოგებს ვთავაზობთ მეორე თემატური ბლოკის – „კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები“ – შემაჯამებელი აქტივობების ნიმუშებს თავისი შეფასების რუბრიკებით.

პედაგოგი თემის „**კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები**“ სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტებს სთავაზობს, აირჩიონ ქვემოთ მოცემული შემაჯამებელი დავალებებიდან ერთ-ერთი, რომელიც თემატური ბლოკის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინონ:

1) კვლევითი ხასიათის თხზულება, რომელშიც თემატური ბლოკის ფარგლებში შესწავლილი კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორები (ტერიტორიული, ეკონომიკური, რელიგიური და სხვ.) იქნება განზოგადებული და კლასიფიცირებული. შესაძლებელია, ნამუშევარი შესრულდეს ცხრილის სახითაც;
2) თემატური ბლოკის ფარგლებში შესწავლილი რომელიმე კონფლიქტის (მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის) შესახებ საინფორმაციო ტიპის პროექტის (კედლის გაზეთის, ბუკლეტის, ფლაერის, Power Point-ში მომზადებული პრეზენტაციის, ბლოგის...) მომზადება, რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, მისი მოგვარება და გავლენა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე;
3) პირველ პირში დაწერილი დღიური, რომელშიც სტუდენტმა უნდა ასახოს კონკრეტულ კონფლიქტში მონაწილე რომლიმე პიროვნების (მაგალითად,ერეკლე II-ის, გიორგი მაზნიაშვილის ან სხვ.) შთაბეჭდილებები, ფიქრები და მოსაზრებები ამ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ;
4) იმიტირებული სასამართლო პროცესის მომზადება, რომელშიც უნდა მოხდეს რომელიმე ცნობილი კონფლიქტის (მაგალითად, 1991-1993 წლების სამოქალაქო ომის, კრწანისის ბრძოლის და ა.შ.) მონაწილეების

„გასამართლება“. აქტივობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც „დამნაშავეებმა“ არ გამოიყენეს დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად;

5) სარეკომენდაციო ხასიათის წერილის „მიწერა“ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწისათვის (მაგალითად, ჰიტლერი, რუქნ ად-დინი და ა.შ.), რომელშიც სტუდენტი რჩევებს მისცემს მას, თუ რატომ არ შეიძლება კონფლიქტის გაჩაღება და როგორ შეიძლება პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება;
6) პოლიტიკური და სოციალური რეფორმების პაკეტის „შეთავაზება“ რომელიმე სახელმწიფოს მმართველისათვის (მაგალითად, ჩარლზ I-ის ან ლუი XVI-სათვის), რომლის განხორციელებითაც ის მოახერხებდა რევოლუციის/ სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას.

რასაკვირველია, ნებისმიერ შემაჯამებელ დავალებას სჭირდება შეფასების რუბრიკა, რომელიც სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს, რათა ნამუშევრის შესრულებისას სწორი ორიენტირი ჰქონდეს. გთავაზობთ შეფასების რუბრიკების ნიმუშებს თითოეული შემაჯამებელი დავალებისათვის. რა თქმა უნდა, პედაგოგს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს, მოაკლოს ან დაამატოს რუბრიკაში მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

1. კონფლიქტების მიზეზების კვლევის ამსახველი თხზულება.

| თხზულების შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |
| თხზულება აქვს სათანადო აგებულება – შესავალი, კვლევითი ნაწილი და დასკვნა | |
| შესრულებული დავალება შინაარსობრივად კორექტულია/ დავალებაში მოტანილი ინფორმაცია სანდოა | |
| თხზულება ენობრივად გამართულია | |
| ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი | |

| | |
|---|---|
| კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს | |
| ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას | |
| მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია | |

2. საინფორმაციო ტიპის პროექტი კონფლიქტის შესახებ

| პროექტის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი | |
| დავალება შინაარსობრივად კორექტულია/დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა | |
| ტექსტები ენობრივად გამართულია | |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |
| გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...) | |
| ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს | |
| არ აღვევს საავტორო უფლებებს/თან ახლავს სამეცნიერო აპარატი | |
| ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას | |
| მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია | |

3. კონფლიქტის მონაწილის დღიური

| დღიურის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| ნამუშევარი შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |

| | |
|---|---|
| დაცულია დღიურის სტრუქტურა – მითითებულია დღეები/თარიღები | |
| დაწერილია პირველ პირში | |
| ნაშრომში ვლინდება მოსწავლის შემოქმედებითობა | |
| ეყრდნობა ისტორიულ რეალობას, ჯდება ისტორიულ კონტექსტში | |
| „დღიურის ავტორი“ აქცენტს აკეთებს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებსა და ფიქრობს მისი მოგვარების გზებზე | |

4. იმიტირებული სასამართლო პროცესი (როლური თამაში)

| როლური თამაშის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |
| პროცესი ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ სცენარს | |
| აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს სტანდარტული სასამართლო პროცესის იმიტაციას | |
| პროცესის მონაწილეებს შორის წინასწარ არის განაწილებული როლები (მოსამართლე, ბრალდებული, ადვოკატი, პროკურორი, მოწმე და ა.შ.) | |
| მონაწილეთა არგუმენტები და მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ | |
| არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს | |
| მონაწილეები თავის როლს პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგებიან | |

5. წერილი პოლიტიკურ მოღვაწეს

| წერილის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემატიკას | |
| ჯდება ისტორიულ კონტექსტში | |
| დასაბუთებულია შეთავაზებული წინადადებების საჭიროება და სარგებლიანობა | |
| დაცულია წერილის ტექსტობრივი სტილი | |
| ავლენს სტუდენტის შემოქმედებით მიდგომას | |

6. რეფორმების პაკეტი სახელმწიფოს მმართველისათვის

| რეფორმების პაკეტის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება სასწავლო თემატიკას | |
| შეესაბამება იმ ისტორიულ რეალიებსა და კონტექსტს, რომელსაც მიეკუთვნება ადრესატი | |
| არტგუმენტებით არის დასაბუთებული შეთავაზებული რეფორმების საჭიროება და შედეგიანობა | |
| არგუმენტების გასამყარებლად მოტანილია მაგალითები წყაროებიდან | |
| ნაშრომი სტრუქტურირებულია მიზნის შესაბამისად | |
| მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად არის ჩამოყალიბებული | |
| ნაშრომში ვლინდება სტუდენტის შემოქმედებითობა | |

*******************************************************

## აქტივობების „ბანკი"

აქ გაქვთ რიგი აქტივობებისა, რომლითაც შეგიძლიათ გაკვეთილებზე ჩვეულებრივ გამოიყენოთ, უბრალოდ, ისინი გაკვეთილის აგების სქემებში არ არის ჩასმული.

აქტივობებს დავუმიზნოტ სამიზნე ცნებები

### ❖ აქტივობა 1. სამართლებრივი კულტურა – კონფლიქტის პრევენცია

დაწერეთ დაფაზე სიტყვები: „სამართლებრივი კულტურა". გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებს დაავალეთ განმარტონ, როგორ ესმით ეს ტერმინი. მათი პასუხები დაფაზე ჩამოწერეთ. ეს პასუხები, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან განსხვავებული და არადამაჯერებელი იქნება; თუმცა, მაინც შეეცადეთ განაზოგადოთ ისინი და აღნიშნეთ, რომ „სამართლებრივი კულტურის" განმარტება სამეცნიერო წრეებშიც ფართო დისკუსიის საგანია.

საილუსტრაციოდ, დაფაზე ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რამდენიმე მოსაზრება ჩამოწერეთ:

1) *ზოგჯერ ტერმინით „სამართლებრივი კულტურა" ის სოციალური გარემო აღინიშნება, რომელშიც კანონები მოქმედებს;*
2) *ზოგჯერ იგულისხმება ღირებულებათა სისტემა, რომელიც საზოგადოების მიერ თავისი კანონების პატივისცემაზეა დამყარებული;*
3) *ზოგჯერ ტერმინი „სამართლებრივი კულტურა" „ბარბაროსობისა" და ტოტალიტარიზმის საპირისპირო ცნებად მოიაზრება;*
4) *ზოგჯერ იგი აღნიშნავს აზროვნების ფორმას.*

განსხვავებული მიდგომების აღნუსხვის შემდეგ, სთხოვეთ სტუდენტებს აღნიშნონ, ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მათთვის უფრო მისაღები. პარალელურ რეჟიმში სტუდენტებს აუხსენით, რომ სამართლებრივ

კულტურაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონები, არამედ – მათი როლიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზემოთ განხილული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ კლასში წარადგინეთ სადისკუსიო თემა. თემის სათაური სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ფორმულირებული:

*ა) ნიშნავს თუ არა სამართლებრივი კულტურა მხოლოდ კანონის მორჩილებას?*

*ბ) მოდის თუ არა წინააღმდეგობაში ერთმანეთთან სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია?*

*გ) შესაძლოა თუ არა არსებობდეს სამართლებრივი კულტურა ტოტალიტარულ სახელმწიფოში? და ა.შ.*

დისკუსიის დასკვნით ნაწილში სტუდენტებს შეახსენეთ, რომ ყველა ადამიანს გააჩნია უფლებები/თავისუფლებები და მოვალეობები/პასუხისმგებლობები. სამართლებრივი კულტურა ქვეყანაში მხოლოდ ორივე მათგანის (ე.ი მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების) რეალიზების შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. სამართლებრივი კულტურის ტრადიციის მქონე საზოგადოების წევრად, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება პიროვნება, რომელიც კანონებსა და ადამიანის სხვა უფლებებს უგულებელყოფს; თუმცა იგივე იმ მოქალაქეზეც ითქმის, რომელიც მხოლოდ კანონისადმი მორჩილებით შემოიფარგლება და მათი (ე.ი. კანონების) საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავს.

აქტივობის დასკვნით ნაწილში დაავალეთ სტუდენტებს დაწერონ თემა ან დაგეგმონ პროექტი, რომელშიც საქართველოში სამართლებრივი კულტურის კუთხით არსებული პრობლემები იქნება განხილული.

*<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>*

აქტივობის განხორციელება საშუალებას მოგცემთ, დაეხმაროთ სტუდენტებს სამოქალაქო საზოგადოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მეტად აქტუალურ საკითხთან დაკავშირებული საჭირო კითხვების დასმაში. ზემოთ ჩამოყალიბებული აქტივობის საფუძველზე სტუდენტთა პროექტების განხორციელება მათ წინაშე მკაფიოდ წარმოაჩენს სამოქალაქო საზოგადოების არსს.

❖ **აქტივობა 2. „ინფორმატორი" - კონფლიქტის მოგვარება** ( ეს  აქტივობა შემაჯამებელ აქტივობადაც შეგიძლიათ გამოიყენოთ და მიუსადაგოთ კონფლიქტების მიზეზების კვლევის ამსახველი თხზულების შეფასების რუბრიკა).

დაავალეთ სტუდენტებს თავი წარმოიდგინონ იმ პოლიტიკოსის/დიპლომატის როლში, რომლის მიზანსაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საკუთარი ქვეყნის პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. ასეთ პრობლემად შესაძლოა წარმოადგინოთ მეზობელი სახელმწოფოების მხრიდან სამხედრო აგრესიის საფრთხე, კრიმინოგენული ფონი, ეკონომიკური პრობლემები და სხვ. პოლიტიკოსის როლში გარდასახული მოსწავლის ამოცანა იქნება სიტყვის ან წერილის მომზადება, რომლითაც იგი დახმარებისთვის რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართავს.

აღნიშნულ წერილში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციებისა და სტრუქტურების ცოდნა. მაგალითად, თუ იგი მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო აგრესიის შეჩერების აუცილებლობის შესახებ საუბრობს, საჭიროა ნატოს მიმართოს. წერილში უნდა ჩანდეს, რატომ მიმართა სტუდენტმ სწორედ ამ ორგანიზაციას; რა მიზნებს ისახავს იგი; რა სახის ქმედებები წარმოუდგენია ნატოს მხრიდან; რა რეზონანსი ექნება საერთაშორისო კონფლიქტში ნატოს ჩარევას და ა.შ.

ეს სიტყვა/წერილი სტუდენტმა კლასის წინაშე უნდა წაიკითხოს, კლასმა კი უნდა იმსჯელოს მისი დამაჯერებლობის შესახებ.

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობა  ხელს შეუწყობს როლური თამაშის საშუალებით საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. თამაშის პროცესში ისინი, რა თქმა უნდა, უკეთ დაიმახსოვრებენ მასალას, რომელიც სახელმძღვანელოებში ხშირად სქემატური სახითაა წარმოდგენილი.

❖ **აქტივობა 3. სოციალური პრობლემები პოლიტიკური პარტიების თვალით**

ჩამოწერეთ დაფაზე პლატფორმები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს შეიძლება ახასიათებდეს:

რადიკალური ლიბერალური ზომიერი

კონსერვატიული რეაქციული ანარქისტული

შემდეგ დაავალეთ სტუდენტებს წერილობით/ან ზეპირად, 5-10 წუთში, თითოეული მათგანის მახასიათებლები ჩამოაყალიბონ. მათი პასუხები საჯაროდ განიხილეთ და შეეცადეთ დაფაზე შედარებით ერთმნიშვნელოვანი ვერსიები დააფიქსიროთ.

აქტივობის შემდგომ ფაზაში სტუდენტებს დაფაზე ჩამოაწერინეთ სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, რომლებსაც ისინი ქართულ ან რომელიმე სხვა ქვეყნის სინამდვილეში ხედავენ. დაავალეთ სტუდენტებს განსაზღვრონ, ზემოთ ჩამოთვლილი რომელი პლატფორმის პოლიტიკური ძალისთვის იქნება უფრო მეტად პრიორიტეტული თითოეულ ამ პრობლემაზე რეაგირება. აქტივობის დასასრულ, შეეცადეთ სტუდენტებთან ერთად განსაზღვროთ ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგია და ამ იდელოგიის საფუძველზე შესაძლებელი არის თუა არა ან კონფლიქტის წარმოშობა, ან კონსენსუსი?

❖ **აქტივობა 4. კონფლიქტების კალეიდოსკოპი**

ჩაუტარეთ სტუდენტებს მინი-ლექცია კონფლიქტის თემაზე – მის რაობაზე, სახეებსა და მოგვარების შესაძლო გზებზე. ამის შემდეგ დაყავით სტუდენტები ოთხ ჯგუფად/ადამიანად. სთხოვეთ მათ აიღონ ოთხიდან ერთ-ერთი ბარათი, რომელზეც შემდეგი წარწერებია:

ა) კლასიკური მუსიკის მოყვარულები;

ბ) პოეზიის მოყვარულები;

გ) ფოლკლორის მოყვარულები;

დ) მოგზაურობის მოყვარულები.

მიეცით სტუდენტებს შემდეგი სიტუაციური ამოცანა: „წარმოიდგინეთ, რომ სასწავლებელს ამთავრებთ და გეგმავთ გამოსამშვიდობებელი საღამოს მოწყობას“. ათ წუთში თითოეული გუნდის ლიდერს/ან ინდივიდს სთხოვეთ თავისი ჯგუფის/პერსონალური გადაწყვეტილების გახმოვანება. სპიკერთა გეგმები, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარი იქნება, ამიტომ სთხოვეთ მათ „მრგვალ მაგიდასთან“ მოლაპარაკებების დაწყება. „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებს თავიდანვე განუმარტეთ, რომ მათი მთვარი ამოცანაა მიაღწიონ ისეთ შეთანხმებას, რომელიც ყველა გუნდს დააკმაყოფილებს ან იპოვონ რაიმე ალტერნატივა. დანარჩენი სტუდენტები, მონიტორინგის მიზნით, დააკვირდებიან მიმდინარე პროცესს. აქვე სტუდენტებს აუხსენით, რომ კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე გზა არსებობს: თანამშრომლობა, კონსესუსი, დათმობა, განრიდება, კონკურენცია.

მოლაპარაკების შემდეგ მასწავლებელი მთელ კლასს უსვამს კითხვებს:

ა) რა ინტერესი ამოძრავებდა თითოეულ გუნდს?

ბ) პრობლემის მოგვარების რომელი სტრატეგია შეარჩია თითოეულმა გუნდმა?

გ) როგორი იყო ლიდერების სტრატეგია შეთანხმებისას, თუკი ასეთი შეთანხმება საერთოდ შედგა?

აქტივობის დასკვნით ფაზაში მიეცით სტუდენტებს საშუალება, თავიანთი ცოტა ხნის წინანდელი გამოცდილების საფუძველზე განაზოგადონ, რა ფაქტორებს აქვს მნიშვნელობა კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად; რამ განაპირობა მათი „მისიის“ წარმატება.

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობის განხორციელება საშუალებას მოგცემთ, გააცნოთ სტუდენტებს კონფლიქტის მართვის სტრატეგიები და მისცეთ საშუალება, გაკვეთილზე თეორიულად ნასწავლი მასალა „პრაქტიკაში“ (როლური თამაშის ფორმით) განახორციელონ.

❖ **აქტივობა 5. კონფლიქტის მოგვარება ტოლერანტობის გზით**

აქტივობის დასაწყისში დაფაზე დაწერეთ ევროკავშირის ცნობილი დევიზი: „ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია“. სთხოვეთ სტუდენტებს განმარტონ, როგორ ესმით ეს სიტყვები. ამის შემდეგ წარმოადგინეთ კლასში სურათები, რომლებიც მათთვის უცხო კულტურის ხალხების ყოფას ასახავს (იხ. სურათები ქვემოთ).

აუხსენით სტუდენტებს, რომ ეს სურათები, ერთი მხრივ, „ფანჯარაა“, რადგან მათი საშუალებით უცხო, განსხვავებული ტრადიციების მქონე ადამიანების სამყაროში შეიძლება გახედვა; მეორე მხრივ კი, „სარკეა“, რადგან ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მომენტებსა და პრობლემებს გვიჩვენებს.

ყოველივე ამის შემდეგ მიეცით სტუდენტებს დავალება – წერილობითი ფორმით გადმოსცენ, რას უჩვენებს მათ ეს სურათები, როგორც „სარკე“ და როგორც „ფანჯარა“. არის თუ არა განსხვავებულისადმი ტოლერანტული განწყობა კონფლიქტის თავიდან აცილების პრევენცია?

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობა დაგეხმარებათ, ასწავლოთ სტუდენტებს ტოლერანტობა; მისი საშუალებით ასევე ნათელი გახდება, რა ქმნის სტერეოტიპებს და რამდენად არასწორია მათზე დაყრდნობა.







## ❖ აქტივობა 6. კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე

დაყავით სტუდენტები ოთხ ჯგუფად (თუ ცოტანი არიან - ოთხ ადამიანად, ან როგორც გინდათ ისე გადააჯგუფეთ). დაწერეთ დაფაზე თითოეული ჯგუფის დასახელება: „ეთნიკური უმრავლესობა“, „ხელისუფლება“, „ეთნიკური უმცირესობა N1“, „ეთნიკური უმცირესობა N2“.

დაავალეთ თითოეულ ჯგუფს, მიუძღვნან სხვა ჯგუფის წარმომადგენელს ნებისმიერი ორი საჩუქარი. საჩუქარი შეიძლება იყოს სიტყვა, წერილი, ნახატი, რაიმეს სიმბოლო და ა.შ.

მეორე ეტაპზე ჯგუფები გადასცემენ ერთმანეთს საჩუქრებს, თუმცა მათ შეუძლიათ, პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე, მიიღონ ან არ მიიღონ საჩუქარი. ყოველივე ეს იწერება წინასწარ მომზადებულ ცხრილში.

მესამე ეტაპზე, აქტივობის დამამთავრებელ ფაზაში, მასალის განზოგადების მიზნით, დაუსვით სტუდენტებს შემდეგი კითხვები:

ა) რის საფუძველზე შეურჩიეთ ჯგუფებს საჩუქრები?

ბ) მოეწონათ თუ არა ჯგუფებს საჩუქრები? თუ მოეწონათ, რატომ?

გ) თუკი არ მოეწონათ, რა იყო ამის მიზეზი?

დ) როგორი იყო მათი მოლოდინი?

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

აქტივობა საშუალებას მოგცემთ სტუდენტებს უფრო გასაგებად აუხსნათ სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციის არსი და აჩვენოთ მათი დარეგულირების პოტენციური შესაძლებლობები.

❖ **აქტივობა 7. ოჯახური კონფლიქტი**

აჩვენეთ სტუდენტებს ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ოჯახური ძალადობის სახეები.

| | | |
|---|---|---|
| ქმრის ძალადობა ცოლზე | | |
| ცოლის ძალადობა | | |

| | | |
|---|---|---|
| ქმარზე | | |
| მშობლების ძალადობა შვილებზე | | |
| შვილების ძალადობა მშობლებზე | | |
| სხვა სახის ოჯახური ძალადობა | | |

სთხოვეთ სტუდენტებს, მოირგონ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრების როლები, რომელთა ამოცანასაც ოჯახური ძალადობის შესამცირებლად კონკრეტული კანონების მიღება წარმოადგენს.

ჯგუფის პირველი ამოცანა იმის განსაზღვრა იქნება, ჩამოთვლილთაგან ძალადობის რომელი ფორმაა ჩვენ გარშემო ყველაზე მეტად გავრცელებული. ამისათვის ერთ-ერთმა სტუდენტმა ფასილიტატორის როლი უნდა იტვირთოს და კოლეგებს სთხოვოს ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ მათთვის ცნობილი ამბების მოკლედ გადმოცემა. თითოეული ნარატივი ერთ-ერთ ცხრილში მოცემულ კატეგორიაში მოთავსდება, რის შედეგადაც რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე გაკეთდება დასკვნა, ოჯახური ძალადობის რომელი ფორმაა ჩვენ ირგვლივ ყველაზე მეტად გავრცელებული.

აქტივობის შემდგომ ფაზაში სტუდენტები სამ ჯგუფად ნაწილდებიან და ინდივიდუალურად „შეიმუშავებენ" კანონს, რომელიც მოცემული პრობლემის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. საამისოდ მათ 15 წუთი ეძლევათ.

დასასრულ, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს. „შემუშავებული" კანონები კუთხეების მეთოდის გამოყენებით გააკარით ოთახის სამ კუთხეში და სთხოვეთ სტუდენტებს, გადანაწილდნენ იმის მიხედვით, რომელ კანონს უჭერენ უფრო მეტად მხარს. ხმათა უმრავლესობით შეირჩევა ერთი კანონი. შერჩეული ინიციატივა სამომავლოდ შესაძლებელია ახალგაზრდული პარლამენტის სამუშაო ვერსიად იქცეს.

<u>აქტივობის სავარაუდო შედეგები:</u>

რა თქმა უნდა, სავალდებულო არ არის, აღნიშნული აქტივობა მხოლოდ ოჯახური ძალადობის თემასთან მიმართებაში განხორციელდეს. ამ ტიპის აქტივობების სასწავლო პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას მოგცემთ სტუდენტებს კანონშემოქმედებითი მუშაობისკენ უბიძგოთ – ეს მათ აქტიური მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება.

### ❖ აქტივობა 8. კონფლიქტი ეკონომიკურ ნიადაგზე

აქტივობის დაწყებამდე სტუდენტებს გააცანით თამაშის წესები. აუხსენით, რომ 100 მონეტა, რომელიც თამაშისას უნდა გამოიყენონ, ქვეყნის მთელ სიმდიდრეს განასახიერებს. ეს მონეტები სტუდენტებს უნდა დაუნაწილდეთ.

თამაშის  წესების მიხედვით, არავის აქვს სხვის მონეტაზე შეხების უფლება. აქტივობის პირველ ორ ფაზაში კლასის სამი სტუდენტი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას.

საკლასო ოთახი ისე მოაწყვეთ, რომ სტუდენტებს სათამაშოდ დიდი ადგილი ჰქონდეთ. სტუდენტებს მონეტები იმგვარად გაუნაწილეთ, რომ რამდენიმე მათგანს მნიშვნელოვნად მეტი მონეტა შეხვდეს, რამდენიმეს კი – ნაკლები. განაწილების შემდეგ სტუდენტები სამ დიდ ჯგუფად დაიყოფიან:

ა) დიდი ქონებისა და ძალაუფლების პატრონები (ვისაც ექვსი ან მეტი მონეტა აქვს);

ბ) გარკვეული ქონებისა და ძალაუფლების პატრონები (ვისაც სამიდან ხუთამდე მონეტა აქვს) – საშუალო ფენა;

გ) მცირე ქონებისა და ძალაუფლების პატრონები (ვისაც ორი და ნაკლები მონეტა აქვს) – ისინი შეადგენენ უმრავლესობას.

შეახსენეთ სტუდენტებს, რომ მონეტების რაოდენობით მათი სიმდიდრე და ძალაუფლება იზომება. იგივე ფაქტორი განაპირობებს ისეთ მნიშვნელოვან და  აუცილებელ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობას, როგორიცაა საბაზო განათლება, ნორმალური კვება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, შესაფერისი საცხოვრებელი, აგრეთვე, ისეთ სურვილებზე ხელმისაწვდომობას, როგორიცაა უმაღლესი განათლება, კომპიუტერი, ავტომობილი, მობილური, ტელევიზორი და ფუფუნების სხვა საგნები. ვისაც ექვსი მონეტა აქვს, მას ყველა მოთხოვნისა და სურვილის დაკმაყოფილება შეუძლია; სამი მონეტის პატრონი მხოლოდ თავის მოთხოვნებს იკმაყოფილებს; მხოლოდ ორი მონეტის მფლობელს კი კვების, განათლებისა და ჯანმრთელობის პრობლემებიც კი ექმნება.

აქტივობის მეორე ფაზაში „მრჩეველთა საბჭო“ უნდა ჩამოყალიბდეს. ამ საბჭოში ის სამი სტუდენტი შევა, რომელიც მეტ „სოციალურ“ აქტივობას გამოამჟღავნებს ანუ თავის კუთვნილ ყველაზე მეტ მონეტას დაურიგებს „თანამემამულეებს“. „საბჭოს“ არჩევის შემდეგ შეამოწმეთ, ვინმემ დისლოკაციის ადგილი ხომ არ შეიცვალა.  აქვე შეგიძლიათ დასვათ კითხვები იმის შესახებ, რატომ გასცა მონეტები ამა თუ იმ სტუდენტმა.

აქტივობის მესამე ფაზაში თამაშში ის სამი მოთამაშე ერთვება, რომლებიც მანამდე უმოქმედოდ იყვნენ. ისინი სამ სხვადასხვა ჯგუფში (სოციალურ ფენაში) განაწილდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა მათგანმა მონეტების ხელახალი გადანაწილების შედეგად იმ რაოდენობის „ფული“ უნდა მიიღოს, რაც ამ სოციალურ ფენას შეესატყვისება (დიდი ქონებისა და ძალაუფლების მფლობელების ფენაში მოხვედრილმა ექვსი და მეტი; გარკვეული ქონებისა და

ძალაუფლების მფლობელების ფენაში – სამიდან ხუთამდე; მცირე ძალაუფლების პატრონების ფენაში კი – ორი და ნაკლები); ე.ი. დღის წესრიგში დგება მონეტების ხელახალი გადანაწილება.

თითოეულმა ჯგუფმა ფულის განაწილების მისეული გეგმა უნდა წარმოადგინოს ისე, რომ ახალი მოთამაშეები მონეტების საჭირო რაოდენობით დაკმაყოფილდნენ.

სავარაუდოდ, მათ მიერ წარმოდგენილი პროექტები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება. შესაბამისად, საჭირო გახდება ხმის მიცემის პროცედურა, რომელიც ერთ-ერთ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას. არჩევნებში „მრჩეველთა საბჭოს“ წევრების ხმას სამმაგი ცენზის სტატუსი ექნება.

აქტივობის სავარაუდო შედეგები:

აქტივობა სტუდენტებს დაანახებს იმ სირთულეებს, რასაც ქმნის მსოფლიოში სიმდიდრისა და ძალაუფლების გადანაწილება; აგრეთვე იმას, თუ როგორ ართულებს თანამედროვე მსოფლიოში არსებული გადანაწილების მექანიზმი ადამიანის უფლებათა და ღირსებათა სრულყოფილად დაცვას.

❖ **აქტივობა 9. გენდერული თანასწორობა – მითი თუ რეალობა?**

დაყავით სტუდენტები ჯგუფებად. ჯგუფების დაკომპლექტებისას შეეცადეთ დაიცვათ გენდერული ბალანსი. თითოეულ ჯგუფს მიეცით ფურცელი, რომელიც სამ სვეტად იქნება დაყოფილი. სვეტებში შემდეგი კატეგორიები იქნება წარმოდგენილი: „ასე უნდა იქცეოდეს კაცი“; „ასე უნდა იქცეოდეს ქალი“; „რას იტყვის ან რას იზამს ხალხი, ვინმე სხვაგვარად თუ მოიქცევა?“.

დაავალეთ სტუდენტებს ამ კატეგორიების შევსება. სავარაუდოდ, ყოველი ჯგუფი ცხრილს სხვადასხვაგვარად შეავსებს. თითოეული მათგანი საჯაროდ განიხილეთ.

დისკუსიისას, სასურველია, შემდეგი კითხვები დასვათ:

ა) სად და როდის ჩამოყალიბდა ჩვენი წარმოდგენა ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლთან დაკავშირებით?

ბ) ზღუდავს თუ არა საზოგადოებაში გენდერის თვალსაზრისით არსებული შეხედულებები თქვენს ცხოვრებას? თქვენ ირგვლივ მყოფი სხვა ადამიანების ცხოვრებას?

გ) შეხვედრიხართ თუ არა ადამიანს, რომელიც ამ თვალსაზრისით განსხვავებულად იქცევა?

დ) შეხვედრიხართ თუ არა ადამიანს, რომელიც გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ილაშქრებს?

ე) შეიძლება თუ არა გენდერული უთანასწორობა კონფლიქტის საფუძველი გახდეს?

აქტივობის სავარაუდო შედეგები:

აქტივობის განხორციელება საშუალებას მოგცემთ სტუდენტები გენდერულ სტერეოტიპებზე დააფიქროთ და მისცეთ მათ საზოგადოებრივი პრობლემების განხილვის საშუალება.

## ❖ აქტივობა 10. ტოლერანტობა

დაავალეთ სტუდენტებს 150-200 სიტყვიანი თხზულების დაწერა, სადაც საპირისპირო სქესის შესახებ მათი მოსაზრებები იქნება ფორმულირებული. მათ მიერ დაწერილ თემაში უნდა ჩანდეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

ა) რითი ჰგავხართ თქვენი კლასის სხვა სქესის წარმომადგენლებს?

ბ) რითი განსხვავდებით თქვენი კლასის სხვა სქესის წარმომადგენლებისგან?

გ) განსხვავდება თუ არა ბიჭისა და გოგოს მეგობრობა ბიჭისა და ბიჭის, ან გოგოსა და გოგოს მეგობრობისგან? პასუხი დაასაბუთეთ.

დ) იქცევით თუ არა სხვაგვარად საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა გარემოცვაში?

გაეცანით სტუდენტთა თემებს; მომდევნო გაკვეთილზე კი საჯაროდ განიხილეთ თხზულებებში გამოკვეთილი პრობლემები.

აქტივობის სავარაუდო შედეგები:

აქტივობის განხორციელება საშუალებას მოგცემთ სტუდენტები გენდერულ სტერეოტიპებზე დააფიქროთ და მისცეთ მათ საზოგადოებრივი პრობლემების განხილვის შესაძლებლობა.

## ❖ აქტივობა 11. შესაბამისი ეპოქის ლიტერატურული ძეგლების განხილვა კონფლიქტთან დაკავშირებით

ისტორიის სახელმძღვანელოები(რომელთაც აქტიურად ვიყენებთ მოდულის - ,,მოქალაქეობა''- შესწავლისას, ერთადერთი წყარო არ არის, რომელთა საშუალებითაც სტუდენტ წარსული ეპოქების შესახებ იღებს ინფორმაციას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტმა გააცნობიეროს, რომ ხშირად მაგალითად, ისტორია და ქართული ლიტერატურა ერთსა და იმავე მოვლენას აშუქებენ, თუმცა სრულიად სხვადასხვა მიზნით.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კარგი იქნება, თუ ლიტერატურიდან დაიხმართ თხზულებებს, რომლებიც თქვენთვის კონკრეტულ მომენტში საინტერესო თემასაც შეეხება. ასეთი თხზულებების უბრალო ხსენებაც კი ძალიან ეფექტურია, რადგან სტუდენტებს ცოდნის ტრანსფერის საშუალებას კარგად უვითარებს და უკეთესად ამახსოვრდებათ თემატიკაც. მსგავსი პარალელების რეგულარულად მოხმობა და, მით უფრო, ასეთი თხზულებების ისტორიულ კონტექსტში ანალიზისთვის გაკვეთილზე დროის დათმობა გააღრმავებს ამა თუ იმ ეპოქის შესახებ სტუდენტთა ცოდნას და მათ კონტექსტებში გამოყენებას, რა ტიპის უნარიც და ცოდნაც მას სჭირდება ისეთი ინტეგრირებული საგნის შესწავლისას, როგორიც წინამდებარე მოდულით შეთავაზებული ,,მოქალაქეობაა''.

*******************************************

ამ აქტივობის განხორციელებისთვის სასურველია ამ მოდულის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მოდულის მასწავლებლებთან და ეცნობოდნენ იმ მასალას, რაც ისწავლება ამ საგნით გათვალისწინებული პროგრამით.

გაკვეთილების ეფექტურად წარსამართად თქვენ შეგიძლიათ მოიხმოთ ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელიც თქვენს კონტექსტს ეხმიანება მათში ასახულ კონკრეტულ ეპოქასთან მიმართებაში. სთხოვეთ ბავშვებს გაიხსენონ სიუჟეტი და ამოკრიბონ ისტორიული ინფორმაცია ამ ნაწარმოებიდან. ჰკითხეთ მათ, არიან თუ არა მოხსენიებული ამა თუ იმ მოთხრობასა თუ პოემაში ისტორიული პერსონაჟები, აღწერილია თუ არა ისტორიული მოვლენები რა ტიპის ღირებულებები, პოზიციები აქვთ მათ პერსონალური, სოციუმთან მიმართებაში როგორია მათი ქცევა და დამოკიდებულება, არის თუ არა ის პრობლემური, კონფლიქტის გამომწვევი, თუ მორიგებაზე, დათმობაზე, სირთულეების გადაჭრაზეა ორიენტირებული? რამდენად შეესაბამება ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები მათთვის ცნობილ ისტორიულ ფაქტებს. მიეცით ბავშვებს მსჯელობის საშუალება – რამდენად ღირებული, კარგი დამხმარე შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოები (ამ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა) ამა თუ იმ ეპოქის აღსაქმელად, ყველაზე მეტად რა კუთხით შეიძლება ავსებდეს იგი ეპოქის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

აქვე გვინდა გირჩიოთ, რომ გამოიყენოთ და სტუდენტებს შესთავაზოთ სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიც, რომელიც შეიძლება პარალელურ ლიტერატურის მოდულში არ იყოს შემოთავაზებული. ან გამოარკვიოთ, რას კითხულობენ თქვენი სტუდენტები. თუ თქვენ მათ „დახმარებას სთხოვთ" ეპოქის წარმოსაჩენად, ამით თქვენ ასეთ სტუდენტს წაახალისებთ, იგი სიამოვნებით „შეასრულებს მასწავლებლის როლს" და გაუზიარებს თანატოლებს თავის ცოდნას. გახსოვდეთ, რომ ადამიანი ყველაზე კარგად მაშინ სწავლობს, როცა სხვას ასწავლის.

## ❖ აქტივობა 12. შესაბამისი ეპოქის ამსახველი კინოფილმის განხილვა კონფლიქტზე

სტუდენტებისთვის არანაკლებ საინტერესო იქნება, კონფლიქტის (ეხება ნებისმიერი ტიპის კონფქლიტს) განხილვას სტუდენტთა ინტერესის პროვოცირებას ზოგჯერ კინოფილმის განხილვით მოახდენთ – იმის გათვალისწინებით, რომ კინოფილმებს თითქმის ყველა ბავშვი უყურებს. ეს თქვენ დაგეხმარებათ ფართოდ გამოიყენოთ მოსწავლის წინარე ცოდნა, ცხოვრებისეული ცოდნა. მსგავსი მიდგომა მათ განცდას უჩენს, რომ საკითხი, რომელზეც უნდა ისაუბროთ, უკვე ,,იციან'' და უფრო მეტი ხალისით, ინტერაქტიულად ერთვებიან მის დამუშავებაში, ვიდრე სრულიად უცნობი საკითხთან მიმართებაში მოიქცეოდნენ.

საბედნიეროდ, თანამედროვე ეტაპზე მრავლად არსებობს ისტორიული რეალობის ამსახველი ფილმები, რომლების სხვადასხვა ტიპის კონფლიქტურ სიტუაციებს ეხება, რომლებიც სტუდენტებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია.

თუკი თქვენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მათთან ერთად ასეთი ფილმების ერთგვარ ,,კატალოგს'' შეადგენთ და კლასში მათი განხილვის ტრადიციას დაამკვიდრებთ, ეს მასალის სწავლების კარგ საშუალებას მოგცემთ. კერძოდ:

შესაძლებლობა გექნებათ კიდევ ერთხელ აღნუსხოთ მოდულით გათვალისწინებული ისტორიული ფაქტები(ქეისები), რომელთა რელევანტურობის ჩვენებით და თანამედროვეობასთან დაკავშირებითაც ახდენთ ინტეგრირებული მოდულის სწავლებას; დასვათ სადისკუსიოდ საკითხი: რა არის ამ მხატვრულ ფილმში ისტორიული რეალობა და რა არის რეჟისორის ინტერპრეტაციის ნაყოფი;. რატომ არის წამოწეული ეს საკითხი და რაში მდგომარეობს მისი სიმწვავე, რამდენად თანამედროვეა ესა თუ ის მოვლენა და როგორ მადგება დღევანდელი კონფლიქტების გაგებისას? ასევე კარგი იქნება, თუ ყურადღებას გაამახვილებთ ფილმში გამოყენებულ დეკორაციებზე, ან, რაც კიდევ უფრო უკეთესია, ამ კუთხით დაშვებულ შეცდომებზე. გახსოვდეთ: წარსულზე მსჯელობისას სტუდენტები როგორც არ უნდა ღრმად შევიდნენ მე-10-15 საუკუნის ადამიანების დისკურსში, ისინი ბევრად მეტს იგებენ საკუთარ თავზე, საკუთარ სოციუმსა და, ზოგადად, თანამედროვეობაზე. შესაბამისად, ამ ყველაფრის მხატვრული სახეებით მოწოდება (ანუ ამ კონკრეტულ ვითარებაში, ფილმით) მათ აღქმას ნებისმიერ საკითხთან (მათ შორის, კონფლიქტის ყველა სახეობასთან) საკმაოდ ამძაფრებს .

ასევე სასურველია, სტუდენტებს ჰკითხოთ, რომელი ისტორიული ეპოქის გაცოცხლებას ისურვებდნენ ისინი, თემატური ერთეულთან დაკავშირებულ რა კონკრეტულ ფაქტზე ან მოვლენაზე გაამახვილებდნენ ყურადღებას რეჟისორები რომ ყოფილიყვნენ და რა სახის გადაწყვეტას მისცემდნენ მათ მიერ წამოჭრილ პრობლემას?. ეს მათ თავიანთი ფანტაზიის გამოვლენის საშუალებას მისცემს.

ასეთი დისკუსიები დიდხანს დარჩება სტუდენტთა მეხსიერებაში; ისევე, როგორც ადვილად არ მიეცემა დავიწყებას ასეთ პირობებში ნახსენები ისტორიული თუ თანამედროვე ფაქტები და მოვლენები.

ბუნებრივია, თითოეულ პედაგოგს შეუძლია თავადაც მოიძიოს ფილმი, რომელიც თემატურად გამოადგება.

ნიმუშის სახით გთავაზობთ შეარჩიოთ ფილმი „დემეტრე მეორე“. ეს ფილმი საქართველოს მონღოლებთან ბრძოლის შესწავლისას შეიძლება გამოიყენოთ. სამშობლოსთვის თავდადებული მეფის ისტორია, (რომელიც სანამ ურდოში ეწამებოდა და მომავალი შარავანდედით შეიმოსებოდა, როგორც ოჯახური, და პერსონალური კონფლიქტებით იყო გარემოცული, ისე ქვეშევდრომთა გარკვეულ ნაწილთანაც იყო დაპირისპირებული) სტუდენტებისათვის საინტერესო იქნება.

ფილმის ჩვენების[შეუძლია ფილმი თავად ნახოს და კლასში პირდაპირ გარცევა მოაწყოთ] შემდეგ მოაწყვეთ განხილვა: ჰკითხეთ, რა მიიჩნიეს მათ ისტორიულ რეალობად და რა ჩათვალეს რეჟისორის ინტერპრეტაციის ნაყოფად; მათი აზრით, რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ რეჟისორმა დამაჯერებლად შეძლოს ეპოქის გაცოცხლება, რამდენად ადეკვატურად მიაჩნდათ მათ ფილმში გამოყენებული ლექსიკა და კოსტიუმები, რამდენად შთამბეჭდავია დეკორაციები; როგორია რეჟისორის მიერ დანახული დემეტრე მეორე და შეესაბამება თუ არა ის ისტორიულ წყაროებში აღწერილ პიროვნებას; შეესაბამება თუ არა რეჟისორის მიერ აღწერილი დემეტრე მათ წარმოსახვაში არსებულ მეფეს; რეჟისორი რომ იყოთ, შეიტანდით თუ არა კორექტივებს ამ ფილმის რომელიმე სცენაში ან ზოგადად ფილმის კონცეფციაში, თუ ამას გააკეთებდით, კონკრეტულად, რას შეცვლიდით და ა.შ. დააკვირდით, მსჯელობისსას ფოკუსში გქონდეთ თემატური ერთეულის მთავარი ამოსავალი - კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები. შესაბამისად, ამსჯელეთ სტუდენტები იმაზე, რამდენად სწორი იყო სიტუაციის განსამუხტავად დემეტრეს გადადგმული ნაბიჯები, ჰქონდა თუ არა ალტერნატივა და სხვ.

შეგიძლიათ ბავშვებს ნებისმიერი კითხვა დაუსვათ, რომელიც ფილმის განხილვაში გამოგადგებათ. შეგიძლიათ შემოქმედებითად მიუდგეთ ამ საკითხს და მოიგონოთ თქვენი საკუთარი ვარიანტები. ეს აქტივობა, ვფიქრობთ, სტუდენტებს მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიის მძიმე ფურცლების მიმართ ყურადღებას უფრო გაუმახვილებს. თანაც ფილმით თვალნათლივ დაინახავენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა მონღოლებსა და ქართველებს შორის რელიგიის, ჩაცმულობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების კუთხით - გაიაზრებენ ეს ყოველივე გარდა პოლიტიკური ხასიათისა, რამდენად კომპლექსური ხასიათის კონფლიქტის საფუძველია. გაიაზრებენ, რა სიმძიმის მოვლენა იყო მონღოლური დაპყრობები, რომელიც ამდენ ადამიანურ და ყველა სახის რესურსს ისრუტავდა საქართველოდან (ისევე, როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნებიდან). სავარაუდოდ, იმსჯელებენ იმაზეც, რამ განაპირობა და რამ აიძულა ახალგაზრდა მეფე, რომლისთვისაც უცხო არ იყო ადამიანური სისუსტეები, ის ნაბიჯი გადაედგა, რაც გადადგა;

ჩაუღრმავდებიან საკუთარი ქვეყნის ისტორიას და იმსჯელებენ, რა მოვალეობები აკისრია ქვეყნის, მით უმეტეს, პატარა ქვეყნის მმართველს და ა.შ.

### ❖ აქტივობა 13. ეს დღე ისტორიაში - კონფლიქტი საბჭოთა იმპერიასთან (1989 წლის 9 აპრილი)

აირჩიეთ ერთი კონკრეტული დღე (კარგი იქნება თუკი ის დაემთხვევა რომელიმე სტუდენტის დაბადების დღეს). წინასწარ გამოუცხადეთ სტუდენტებს, რომ მათ სპეციალურად გამოყოფილ ფურცელზე ამ დღეს მომხდარი ყველა მოვლენა უნდა აღნუსხონ (რომელიმე ერთი სტუდენტის რედაქტორობით). აქ მათ ყველა სახის ინფორმაცია შეუძლიათ შეიტანონ – დაწყებული სტუდენტთა შორის საუბრებიდან, დამთავრებული დღის საინფორმაციო ამბებით. ორ ან მეტ სტუდენტს დაავალეთ ინდივიდუალურად, მაქსიმალური სიზუსტით კლასის ისტორიის ერთი დღის ჩაწერა.

მეორე დღეს მოახდინეთ ამ ნაშრომების პრეზენტაცია. შემდგომ პერიოდში კი შეამოწმეთ, რა ემახსოვრებათ ბავშვებს ამ დღის შესახებ და როგორ ინტერპრეტაციას მისცემენ ამ დღეს მომხდარ მოვლენებს.

ასეთი აქტივობის განხორციელება სტუდენტს საშუალებას მისცემს კლასის ისტორია დაუკავშიროს სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას(მაგ. საქართველოსთვის სიმბოლურ დღეს როგორც ტრაგიკული, ისე საზეიმო კუთხით- 9 აპრილს), რაც, თავის მხრივ, შემდგომში კიდევ უფრო გაზრდის მის დაინტერესებას ამგვარი აქტივობით. შეგიძლიათ თუკი ამ შემოთავაზებული მაგალითით ისარგებლებთ, მოიშველიოთ მდიდარი ფოტო-ფონო მასალები, რომლებიც მრავლადაა ინტერნტში კონკრეტული ისტორიული დღის ხსოვნის მეტად გასამძაფრებლად.

### ❖ აქტივობა 14. თოქ-შოუ ისტორიულ თემაზე (კონფლიქტური ქეისი )

არანაკლებ საინტერესო იქნება, თუ მასალის უკეთ დასწავლის მიზნით სტუდენტებს რომელიმე თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე ან ისტორიულ საკითხზე დისკუსიის მოწყობას თოქ-შოუს ფორმატში შესთავაზებთ.

შეარჩიეთ სადისკუსიო თემა. ერთ-ერთ სტუდენტს, რომელმაც საკითხი კარგად იცის, წამყვანობა შესთავაზეთ, ორ სხვა სტუდენტს კი – რომელიმე მხარის პოზიციების გაშუქება. შეიძლება თითოეულ სტუდენტს თავისი ინტერესების დამცველი ჯგუფებიც ჰყავდეს.

შეგიძლიათ ამგვარ დისკუსიას შუა საუკუნეების დისპუტის სახეც მისცეთ, მით უფრო მაშინ, როცა ამ ეპოქის თემატიკაა განსახილველი.

ეს აქტივობა საშუალებას მოგცემთ დისკუსიის მეთოდი უფრო ეფექტურად გამოიყენოთ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პრაქტიკისთვის.

******************************************

**ა)** მაგალითად, თოქ-შოუს თემად შეგიძლიათ აირჩიოთ **რეფორმაცია** გერმანიაში. ერთი მხარე აქ მარტინ ლუთერისა და მისი მომხრეების წარმომადგენელი იქნება. მათ კარგად უნდა ჰქონდეთ შესწავლილი, რა მანკიერებები ახასიათებდა კათოლიკურ ეკლესიას მეთექვსმეტე საუკუნეში და რამდენად საჭირო იყო მისი რეფორმირება.

მეორე მხარე ამ დისკუსიაში კათოლიკური ეკლესიის მომხრეებით იქნება წარმოდგენილი. ამ ბანაკის წარმომადგენლებს არგუმენტები უნდა ჰქონდეთ იმის დასამტკიცებლად, რაოდენ აუცილებელია კათოლიკური ეკლესიის დოგმატების დაცვა და რამხელა არეულობა მოუტანა გერმანიას რეფორმაციამ. კარგი იქნება, თუ მხარეები შესაბამისი ეპოქის მომხრეთა გამონათქვამებითაც „შეიარაღდებიან“.

ამავე თოქ-შოუში შეგიძლიათ ცალკე მხარედ ჰუმანისტებიც წარმოადგინოთ, რომლებიც არც კათოლიკურ ეკლესიას და არც რეფორმაციას მხარს არ უჭერდნენ. მათი ფუნქცია აქ მოწინააღმდეგეთა ურთიერთკრიტიკისთვის არგუმენტების შეშველება იქნება.

**ბ)** ასევე დისპუტი შეგიძლიათ გამართოთ ქრისტიანობის სახელით მეომარ ევროპელ ჯვაროსან რაინდ მეფესა (რიჩარდ ლომგულსა) და მახლობელი აღმოსავლეთის მცხოვრებ მუსლიმ მმართველს (სალადინს ) შორის. პირველ ბანაკს უნდა ჰქონდეს არგუმენტები იმსი დასამტკიცებლად, რატომ იყვნენ იძულებული დასავლეთ ევროპიდან

წამოსულიყვნენ მახლობელ აღმოსავლეთში, რატომ ილახებოდა მათი რელიგიური გრძნობები და რატომ იყო სამხედრო კამპანია ერთგვარი რევანში ევროპელებისთვის (მაგ. არაბების და ისლამის ევროპაში შეღწევის გამო).

მეორე მხარე უნდა მოიხმოს არგუმენტები, რატომ მოხდა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობა და ბიზანტიის იმპერია იყო ნეიტრალური და შემდეგ კი -აშკარად უარყოფითად განწყობილი მოსული ჯვაროსნების მიმართ. ასევე, რატომ ვერ მოხერხდა პირველი წარმატების შემდეგ ჯვაროსნების სამფლობელოების შენარჩუნება სირია-პალესტინის ტერიტორიაზე და ა.შ.

**აქტივობა 15. სიტყვით გამოსვლა კონფლიქტურ სიტუაციის მიზეზებზე და მათი მოგვარების ალტერნატიულ გზებზე**

დაავალეთ რომელიმე, სათანადო უნარის მქონე, სტუდენტს სიტყვით გამოვიდეს კლასის წინაშე. მან შესაძლოა მხედართმთავრის ან უბრალოდ ორატორის როლი მოირგოს. წინასწარ გაესაუბრეთ მას და უთხარით, რა აქცენტები უნდა გააკეთოს საჯარო გამოსვლისას. კონფლიქტური სიატუაცია მან თავად აირჩიოს ან თანამედროვეობიდან, ანისტორიული წარსულიდან.
ასეთი აქტივობები სტუდენტებს კარგად ამახსოვრდებათ.

*******************************************

მაგალითად, შესთავაზეთ აიეტისა და ფარტაძის გამოსვლები ლაზი დიდებულების წინაშე; ანტიკური ეპოქის ცნობილი მოღვაწისა და ორატორის, ათენის დემოკრატიის ლიდერის, პერიკლეს სიტყვა ათენის მოქალაქეების წინაშე; ასევე უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსისა და ორატორის, უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში ანუ მისი სიტყვა ცივი ომის დაწყების თაობაზე.

წარმოდგენილი სიტყვების მომზადებისას სტუდენტებს უნდა მიუთითოთ, მის რომელ ნაწილზე გააკეთონ განსაკუთრებული აქცენტი, წინასწარ ჰქონდეთ განსაზღვრული, რა წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში ორატორის მიზანს – მაგალითად, პერიკლეს შემთხვევაში ეს არის ათენელებისათვის მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაღვივება; აიეტისა და ფარტაძის შემთხვევაში – ლაზიკაში ბიზანტიისა და სასანიანთა ირანის ბატონობის ნეგატიური

შედეგების ჩვენება და საგარეო ორიენტაციის კურსის განსაზღვრა; ჩერჩილის შემთხვევაში – მსოფლიოსათვის საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის ჩვენება.

## ❖ აქტივობა 16. ისტორიული შინაარსის პიესის დადგმა - კონფლიქტის მოგვარების გზები

სიმულაციურ თამაშებს საზოგადოებრივი დარგების სწავლისას საკმაოდ ეფექტური შედეგების მოტანა შეუძლია. საინტერესო იქნება, თუ ამ ღონისძიებას მცირე ისტორიული სპექტაკლის სახე ექნება, სადაც ისტორიული პერსონაჟების როლებს სკოლის მოწაფეები მოირგებენ.

ასეთი აქტივობის განსახორციელებლად მთავარი სირთულე შესაბამისი სიუჟეტის შერჩევა და შესატყვისი ტექსტის დამუშავებაა. თუმცა, ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემებს ნაწილობრივ მოაგვარებთ, თუ ანტიკურ წყაროებს მიმართავთ. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ რომელიმე ღირსშესანიშნავ ისტორიულ მომენტში სხვადასხვა ცნობილი პირების დიალოგებს, რასაც ისინი ზოგჯერ ძალიან მაღალმხატვრული ოსტატობით გადმოგვცემენ. ამ აქტივობის განსახორციელებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ქართველ მწერალთა დრამატურგიული თხზულებებიც.

*******************************************

მაგალითად, შეგიძლიათ შესთავაზოთ სტუდენტებს თუკიდიდეს ,,პელოპონესის ომების ისტორია''; ასევე, შეგიძლიათ გაათამაშებინოთ პოლიკარპე კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“ -ს რომელიმე გამორჩეული ეპიზოდი – ამ პიესის წყალობით ბავშვები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მნიშვნელოვანი მოვლენების ,,შუაგულში“ იგრძნობენ თავს; ან კიდევ ოთარ ჭილაძის ,,წათეს წითელი წაღები“ გაათამაშებინოთ და ისინი მეექვსე საუკუნის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენის და საერთაშორისო კონფლიქტის – ,,დიდი ომიანობის“ სახელით ეგრისში მიმდინარე ბიზანტია - ირანის დაპირისპირებისა და მასსი ქართული სახელმწიფოს ჩართულობის ,,თანამონაწილე“ გახადოთ.

*შენიშვნა:* ამ თვალსაზრისით საჭირო ლიტერატურა შეგიძლიათ იხილოთ გზამკვლევის რესურსთა ჩამონათვალში.

❖ **აქტივობა 17. კითხვა-პასუხით „შეტაკების“ იმიტაცია კონფლიქტის თემაზე**

როდესაც რამდენიმე (პოლიტიკური ხასიათის) კონფლიქტის განხილვას მოახერხებთ (მაგ. ბერძენ-სპარსელებთა ომები, არაბობა, ირან-ოსმალეთი და საქართველო ან სელჩუკები და საქართველო.....), კარგი იქნება, თუ ერთ გაკვეთილს ინტელექტუალურ თამაშს დაუთმობთ.

დაყავით კლასი ორ ან სამ ჯგუფად. თითოეული მათგანი რომელიმე საყოველთაოდ ცნობილი იმპერიის სახელთან გააიგივეთ (მაგ.: არაბებთა სახალიფო, ოსმალთა იმპერია, რუსეთის იმპერია....). შემდეგ გააცანით სტუდენტებს თამაშის წესები:

თითოეული ჯგუფის მიზანს მეორე ჯგუფის „დაპყრობა“ წარმოადგენს. ეს მათ მხოლოდ მოწინააღმდეგეზე 10 ქულით მეტის დაგროვების შემთხვევაში შეუძლიათ. იმისათვის კი, რომ მათ ქულები მოიპოვონ, საჭიროა სწორი პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს. შეკითხვები სამ (მარტივ, საშუალო და რთულ) კატეგორიად დაიყოფა. მარტივი შეკითხვის ღირებულება 1 ქულა იქნება, საშუალოსი – 2, რთულის კი – 3; გამოუცხადეთ წინასწარ ბავშვებს, რომ რთულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემთხვევაში მათ იმპერიაში ტექნოლოგიები და საბრძოლო საქმე ვითარდება; საშუალოზე – ეკონომიკა; მარტივზე კი – იმპერიის ინფრასტრუქტურა. იმისათვის, რომ თამაში უფრო საინტერესო გახდეს, შემოიღეთ საჯარიმო ქულების პრაქტიკაც. დასმული შეკითხვები იმ იმპერიების ისტორიას უნდა ეხებოდეს, რომელიც სტუდენტებმა ცოტა ხნის წინ ისწავლეს.

ამგვარი თამაში შესაძლოა სტუდენტებს ინდივიდუალურ რეჟიმშიც ჩაუტაროთ. ასეთ შემთხვევაში კლასის დანარჩენ წევრებს იმ კითხვებზე დაევალებათ პასუხის გაცემა, რომელთა ამოხსნაც კონკურსანტებმა ვერ შეძლეს. აღნიშნული აქტივობის განხორციელება სტუდენტებს კიდევ ერთხელ დააფიქრებს კონფლიქტთან დაკავშირებული ისტორიული პროცესების - (ომების, ბრძოლების, დაპყრობების, დაზავებების....) არსზე; თამაშში გამარჯვების სურვილი კი დამატებითი ლიტერატურის წაკითხვისაკენ უბიძგებს.

# თავი 4. სახელმწიფო და მოქალაქე

წინამდებარე თავში წარმოვადგენთ თემატურ ბლოკს სახელწოდებით „სახელმწიფო და მოქალაქე“, რომელშიც გაერთიანებულია პროფესიული სტუდენტის სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი თემატიკა. მისი შესწავლა სტუდენტს, როგორც მოქალაქეს, დაეხმარება საზოგადოებასა და სახელმწიფოში საკუთარი ადგილის დანახვაში. პედაგოგმა ამ თემატური ბლოკის სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტებს ხელი უნდა შეუწყოს, მათ მიერ საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობებისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებასა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში. თემატური ბლოკის - „სახელმწიფო და მოქალაქე“ - ფარგლებში სტუდენტები ისწავლიან, თუ რას ნიშნავდა/ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქედ ყოფნა, როგორ ითანამშრომლონ სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან, როგორ გამოყენონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები საკუთარი მიზნებისა და შეხედულებების დასასაბუთებლად. ისინი გააცნობიერებენ სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობასაც.

გზამკვლევში წარმოდგენილი წინარე თემატური ბლოკების მსგავსად, „სახელმწიფო და მოქალაქის“ სარეკომენდაციო შინაარსობრივი საკითხებიც დაჯგუფებულია იმგვარად, რომ სათანადო მიზნობრიობით მათი შესწავლა-დამუშავების შედეგად, „მოქალაქეობის“ მოდულით განსაზღვრული სწავლის ოთხივე შედეგის მიღწევა იყოს შესაძლებელი. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ნათლად აჩვენებს შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის პრინციპს, ანუ რა უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს თემატური ბლოკის ფარგლებში, რომ ყველა სასწავლო შედეგს (ცხადია, გარკვეული შესრულების კრიტერიუმების ფარგლებში) მივაღწიოთ. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა იგი საგულდაგულოდ შეისწავლოს და დაამუშავოს. ეს ცხრილი დაეხმარება პედაგოგს, კარგად დაგეგმოს ამ თემატური ბლოკის ფარგლებში ჩასატარებელი გაკვეთილები. რა თქმა უნდა, იგი ვალდებული არ არის ცხრილში მოცემული სარეკომენდაციო საკითხები ზუსტად მოცემული თანმიმდევრობით შეასწავლოს სტუდენტებს. მას შეუძლია, შეცვალოს მიმდევრობა, საკუთარი შეხედულებისამებრ ამოაკლოს ან დაამატოს საკითხი. მთავარია, სასწავლო პროცესი ისე დაგეგმოს, რომ ეს პროცესი მოცემულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს მაქსიმალურად შეესაბამებოდეს.

| სახელმწიფო და მოქალაქე | | |
|---|---|---|
| **სწავლის შედეგები** | **შესრულების კრიტერიუმები** | **სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას თემატური ერთეულის დასამუშავებლად** |
| 1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება. | • **სხვადასხვა ეპოქასა** და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს გამოყოფა;<br>• სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება;<br>• სხვადასხვა ეპოქაში **სხვადასხვა ტიპის დანაშაულის** გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი შემცირების გზების შესახებ მსჯელობა;<br>• ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივს ინტერესების ერთმანეთთან შედარება;<br>• **უმცირესობებსა** და **მოწყვლად ჯგუფებთან** საზო-გადოების ურთიერთობის თავისებურებებისა და მათი დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა;<br>• ამა თუ იმ **ეპოქის** საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება;<br>ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული | • მონაწილეობის კულტურა: შესაძლებლობები, ფორმები და მექანიზმები;<br>• პიროვნული და საზოგადოებრივი (სახელმწიფო) ინტერესები<br>• საზოგადოებრივი დაკვეთა და სახელმწიფო ვალდებულებანი;<br>• ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო სტრუქტურები (სახალხო დამცველი, სასამართლო და სამართალდამცავ ი უწყებები) და არასამთავრობო |

| | | |
|---|---|---|
| | საფუძვლების კვლევა. | ორგანიზაციები;<br>• სოციალური პასუხისმგებლობა;<br>• ტრეფიკინგი/დის კრიმინაცია/ ნარკომანია;<br>• თვითმმართველობის საფუძვლები;<br>• საჯარო ინფორმაციის გამცემი ორგანოები და ინფორმაციის მოპოვების მექანიზმები;<br>• ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები (თავისუფლებათა დიდი ქარტია, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თანამედროვე კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) |
| 2. **დემოკრატიის პრინციპების** ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება. | • **პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში** მონაწილეობის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის დასაბუთება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში ინფორმაციის მოპოვების და საჯაროობის უზრუნველყოფის გზების შედარება; პროცედურების დაცვით მისთვის სასურველი/ საინტერესო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა;<br><br>• წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/ უკუსვლასთან დაკავშირება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში **ხელისუფლების დანაწილების პრინციპის** რეალიზების ერთმანეთთან შედარება;<br><br>• ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი **მმართველობის ფორმებისა** და **პოლიტიკურ რეჟიმების** მახასიათებლების შედარება;<br><br>• კულტურული, ეთნიკური, რელიგიური | |

| | | |
|---|---|---|
| | მრავალფეროვნების საზოგადოების/ სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირება;<br><br>• ძლიერი თვითმმართველობის სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირება. | • ალექსანდრე მეორის რე-ფორმები რუსეთის იმ-პერიაში;<br>• ქალაქები შუა საუკუნეებში;<br>• რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა<br>• ათენის დემოკრატია<br>• ბერძნული კოლონიზაცია და საქართველო. |
| 3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება. | • **ისტორიულ/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში** ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა;<br><br>• სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/ პოლიტიკურ პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო **გზების** დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;<br><br>• სამოქალაქო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის როლის კვლევა;<br><br>• მმართველობით სტრუქტურებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიზეზების გამოკვეთა;<br><br>• წარსულსა და თანამედროვეობაში რელიგიის, როგორც ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობების შედარება;<br><br>• სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობების შედარება და კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირება. | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| 4. საკუთარი გადაწყვეტილებების/ შეხედულებების ისტორიული წყაროების/ უმთავრესი **სამართლებრივი დოკუმენტების** *(მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია)* საფუძველზე დასაბუთება; ამ დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება. | • ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქის **სოციალურ სტრუქტურების** შედარება;<br><br>• დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის დასაბუთება;<br><br>• კონკრეტულ ეპოქაში ქართული სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების კვლევა;<br><br>• კონკრეტული მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო/საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგების შეფასება;<br><br>• წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში განვითარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის/ პროცესის საქართველოზე მოხდენილ ნეგატიურ ან პო-ზიტიურ გავლენასთან დაკავშირება;<br><br>• რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე ამა თუ იმ ეპოქაში მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო | |

| | | |
|---|---|---|
| | ფაქტორების დაჯგუფება;<br><br>• ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;<br><br>• ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარებასთან დაკავშირება;<br><br>• სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის/ საზოგადოების დამახასიათებელი მსოფლმხედველობების შედარება. | |

როგორც უკვე აღინიშნა, ერთი თემატური ერთეულის შიგნით ყველა სასწავლო შედეგი მუშავდება ცალკეული შესრულების კრიტერიუმების დონეზე (იხ. ცხრილის პირველი სვეტი). მეორე სვეტში მოტანილია ამ შედეგების სწორედ ის კონკრეტული შესრულების კრუტერიუმები,??? რომლებიც უშუალო კავშირშია თემატურ ბლოკთან. მესამე სვეტში წარმოდგენილია თემატურ ბლოკში შემავალი სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს ან გამოყენებულ იქნას კონკრეტული თემატური ერთეულის ფარგლებში. აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყველა საკითხის სწავლა არ არის აუცილებელი წინაპირობა კრედიტის მისაღწევად. რეკომენდებული საკითხები (მით უფრო ისტორიული) ქეისებად უნდა იყოს გამოყენებული და თუ ტიპოლოგიურად მსგავსი ქეისები საკითხთა ჩამონათვალში რამოდენიმეა, პედაგოგს შეუძლია აწმყოსა და წარსულის დაკავშირება მისთვის უფრო მოსახერხებელი მაგალითით მოახდინოს.

პედაგოგს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მოდული „მოქალაქეობა“ სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. ის მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ გაკვეთილების ჩატარებისას შეინარჩუნოს კავშირი თანამედროვე მოცემულობასა და ისტორიულ წარსულს შორის – საგაკვეთილო

თემისადმი/საკითხისადმი სტუდენტების ინტერესი უნდა გაღვივდეს თანამედროვე რეალიებზე საუბრით, ხოლო შემდეგ ჩავუღმავდეთ ამ რეალიების ისტორიულ პარალელებსა თუ საფუძვლებს. სწავლა ნაცნობიდან უცნობისაკენ, წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება არის თანამედროვე კონსტუქტივისტული პედაგოგიკის და, ბუნებრივია, ამ მოდულის სწავლა-სწავლების საფუძველიც.

მოდულის სწავლების დროს მთავარია კონტექსტის ფლობა არა მრავალი მაგალითის ცოდნის, არამედ საგნების (მოქალაქეობა, ისტორია) სამიზნე ცნებებისა და თემატური საკვანძო ცნებების გათავისების მეშვეობით (რომელთა სხვადასხვა მაგალითებსა და კონტექსტებში გამოყენებასაც შეძლებენ სტუდენტები). გთავაზობთ თემატურ ერთეულში - „სახელმწიფო და მოქალაქე" - საორიენტაციოდ და მისი შინაარსის ადეკვატურად აღქმისთვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალს:

| |
|---|
| <u>საკვანძო ცნებები:</u><br>**ადამიანის უფლებები** *(თავისუფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები)*, **დისკრიმინაცია, ტრეფიკინგი, სამართლებრივი დოკუმენტები** (*კონსტიტუცია, დეკლარაცია, ქარტია, კონვენცია, კოდექსი…)*, **სამოქალაქო მონაწილეობა** (*არჩევნები, ადვოკატირება, ლობირება, მოხალისეობა)*, **საზოგადოებრივი ორგანიზაცია** *(საინიციატივო ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაცია*), დეცენტრალიზაცია, **მუნიციპალიტეტი, საკრებულო,** მერი/გამგებელი, **საჯარო ინფორმაცია.** |

ამ თემატური ბლოკის სწავლებისას მნიშვნელოვანია, სტუდენტები ისეთ შეკითხვებზე დავაფიქროთ, რითაც ნათელი გახდება, რამდენად სწორად აღიქვა სტუდენტმა მასალა, რამდენად წარმატებით მიდის მუშაობა სწავლის შედეგების მისაღწევად. მთელი თემატური ერთეულის სწავლება იმგვარად უნდა მიმდინარეობდეს, რომ საბოლოოდ სტუდენტებს ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი არ გაუჭირდეთ. ეს საკვანძო შეკითხვები მაინც და მაინც ცალკეულ

გაკვეთილებზე დასასმელ შეკითხვებად არ უნდა მივიჩნიოთ (თუმცა რასაკვირველია, ამის გაკეთება აკრძალულიც არ არის). მთავარია, რომ თემატური ერთეულის „სახელმწიფო და მოქალაქე“ შესწავლის შემდგომ, მთლიანობაში სტუდენტებმა უნდა შეძლონ ამ შეკითხვებზე ადეკვატური რეფლექსიის გამოვლენა.

<u>საკვანძო შეკითხვები:</u>

რას ნიშნავს, რომ მოქალაქე ვარ? რა უფლებები მაქვს მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს?

რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? რატომ მაქვს მე, როგორც ინდივიდს, საზოგადოების წინაშე გარკვეული მოვალეობები?

როგორ შემიძლია ჩემი და სხვისი უფლებების დაცვა? რატომ მჭირდება მე, როგორც მოქალაქეს კანონების ცოდნა?

როგორ უნდა ვურთიერთობდე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?

რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? როგორ შემიძლია არსებული პრობლემების გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?

რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად?

რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში (დაბაში, რეგიონში) პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?

როგორ მოვიპოვო ჩემთვის საჭირო ინფორმაცია საჯარო უწყებებიდან?

რატომ და როგორ უნდა იქმნებოდეს კონსტიტუცია? რატომ უნდა იყოს კონსტიტუცია ფართო საზოგადოების შეთანხმების შედეგი?

რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება?

რატომ და როგორ ქმნის კანონებს პარლამენტი?

როგორ აღასრულებს მთავრობა სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით კანონებს?

როგორ აკონტროლებს სასამართლო ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოს?

რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?

რატომ იქმნება ქვეყანაში არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები?

რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?

მოცემული საკვანძო ცნებები და შეკითხვები ქმნიან იმ ორიენტირებს, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული თემატური ერთეულის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები. ამ ცნებების შესწავლა-დამუშავება, საკვანძო

შეკითხვების კვლევა და მათზე პასუხების ძიება წარმოადგენს თემატური ბლოკის „სახელმწიფო და მოქალაქე“ ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების საერთო **მიზანს**. პედაგოგები თავადაც დაინახავენ, რომ ქვემოთ, ცხრილის სახით მოცემულ ტიპურ საგაკვეთილო გეგმებში საგანგებოდ, დასაწყისშივე მითითებულია კონკრეტული გაკვეთილის მიზანი/მიზნები, რომელიც სწორედ ზემოაღნიშნულ საკვანძო ცნებებსა და შეკითხვებს უკავშირდება.

* * *

ამ თემატური ბლოკის *(განაპირობებს მოსწავლის ჩამოყალიბებას ღირსებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ, რომელიც შეიძენს უნარებს და ცოდნას, სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი როგორც საკუთარ სახელმწიფოში, რომლის წარმომადგენელიც არის, ასევე დღევანდელ გლობალისტურ სამყაროში)* ფარგლებში ჩატარებული **გაკვეთილები მიზნად უნდა ისახავდეს** რათა სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ და სიცოცხლის ბოლომდე მყარ მოცემულობად დარჩეთ, რომ:

- ✓ საკუთარი და საზოგადოებრივი უფლებები ურთიერთგადაჯაჭვულია და მოქალაქის ჩართულობით შეიძლება იყოს ეფექტურად დაცული;

- ✓ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე და მისცეს მოქალაქეებს თვითრეალიზების საშუალება კანონის ფარგლებში;

- ✓ უფლებათა გადანაწილების აუცილებლობა გამოცდილია ისტორიული განვითარებით და დემოკრატიული მართვის ფორმის საფუძველთა საფუძველია;

- ✓ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით მოქმედება სახელმწიფოებრივი აზროვნებაა და ქმედებაა;

- ✓ ინფორმირებული და აქტიური პიროვნება, რომელიც მაღალი ჩართულობით გამოირჩევა საზოგადოებრივი საკითხების წარმატებით გადაწყვეტაში - კარგი მოქალაქეა.

- ✓ ისტორია შეიძლება კარგი მაგალითი იყოს, რა შედეგები მოჰქონდა რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური, ეკონომიკური კუთხით თუკი სახელმწიფო უფლებათა დელეგირებას არ მიმართავდა თავის მოქლაქეებზე და სახელმწიფოს მართვაზე წვდომის საშუალებებს უზღუდავდა.

- ✓ ქვეყნის უმაღლესი კანონისა და მისი ქვემდებარე კანონების გარდა მოქალაქეს იცავს საერთაშორისო სამართალი.

გზამკვლევის მეოთხე თავშიც, ანალოგიურად, გთავაზობთ დისციპლინების (ისტორია და სამოქალაქო განათლება) ინტეგრაციის ფორმატში მომზადებულ რამოდენიმე სანიმუშო, ტიპურ გაკვეთილს იმ სქემით, რა სახითაც პედაგოგებმა შემდგომში თავადაც უნდა შეძლონ „მოქალაქეობის" გაკვეთილების დაგეგმვა და აწმყოში მიმდინარე მოვლენებისა და წარსულის მაგალითების ადეკვატური სინთეზირება. ასევე გთავაზობთ, ორივე დისციპლინის ფორმატში სამუშაო რიგი ტიპური აქტივობების ნიმუშებს (ე.წ. აქტივობების ,,ბანკი''), რომელთა მოშველიება სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების შესასწავლად გამოდგება და ,,მოქალაქეობის'' მოდულის ინტეგრაციულ ბუნებაზეა მორგებული.

* * *

## ტიპური გაკვეთილების ნიმუშები

იმისათვის, რომ პედაგოგებისათვის ყოველივე ზემოაღნიშნული უფრო ნათელი გავხადოთ და თემატური ბლოკის „სახელმწიფო და მოქალაქე" სწავლების დაგეგმვა გავუადვილოთ, წარმოვადგენთ რამდენიმე სანიმუშო საგაკვეთილო გეგმას. ცხრილის სახით მოცემული საგაკვეთილო გეგმებში ნაჩვენებია, როგორც კონკრეტული

გაკვეთილის მიზნები, ამ მიზნების მისაღწევად ვარგისი რესურსები, სასწავლო აქტივობები და რეკომენდაციები, ისე მოდულის სტანდარტული ჩანაწერები (სწავლის შედეგები და შესრულების ინდიკატორები), რომელთაც ეს გაკვეთილი შეესაბამება. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი ტიპური გაკვეთილების/გაკვეთილების სერიების ნიმუშები დახმარებას გაუწევს პედაგოგს თემატური ბლოკის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში.

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივობები გააზრებულია საგაკვეთილების სერიად (8 ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის მიყოლი წყება), რომელთაგან ზოგი ნიმუშად, სრული სახით არის შემოთავაზებული საგაკვეთილო პროცესისთვის, ზოგი კი - მასწავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, ოღონდ არსებული კონტექსტის ფარგლებში თავად დაასრულოს. ეს ნიმუშები და სერიებია:

1. მოქალაქეობა და ადამიანის უფლებები;
2. ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები;
3. პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები;
4. უფლებადამცველები (სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები);
5. ტრეფიკინგი;
6. მონაწილეობის კულტურა;
7. თვითმმართველობის საფუძვლები;
8. საჯარო ინფორმაციის მოპოვება.

**გაკვეთლების სერია თემაზე:** მოქალაქეობა და ადამიანის უფლებები

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილების პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| **შედეგი:**<br>1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>1. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br>**შედეგი:**<br><br>2. მრავალფეროვან | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა ნიშნავს ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთკავშირს, რაც ორივეს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს ანიჭებს;<br>✓ ადამიანის უფლებები და მოვალეობები ურთიერთგადაჯაჭვულია;<br>✓ ადამიანის უფლებები არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რამ, კაცობრიობის ისტორია კი უფლებებისთვის ბრძოლის უწყვეტ ხაზს წარმოადგენს. |
| | **რესურსები** | საქართველოს კონსტიტუცია (მეორე თავი);<br>სამოქალაქო განათლება. მე-10 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, გვ. 46-47;<br>ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 51-54, 73-76; ისტორია. მე-12 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 75-79, 80-84;<br>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 52-56, 141-142, 146-147; ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“, გვ. 72-75, 195-202;<br>საკითხავი მასალა „გვიანფეოდალური ხანის ქართველი გლეხი“;<br>თაბახის ფურცლები, ფანქრები, კალმები. |
| | **გაკვეთილების** | **I გაკვეთილი** (ძირითად ცნებებზე დაფიქრება) |

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>2. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>3. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br>**შედეგი:**<br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | **მსვლელობა** | თემისდმი სტუდენტთა ინტერესის გასაღვივებლად პედაგოგი სთხოვს მათ ამოიღონ თავიანთი პირადობის მოწმობები და ყურადღებით შეისწავლონ, რა ინფორმაციის ამოკითხვა შეიძლება ამ დოკუმენტიდან. განხილვის შემდეგ ისმევა კითხვა: „იმის გარდა, რაც მოწმობაზე წერია, თქვენი აზრით კიდევ რას მოიცავს ის ფაქტი, რომ ჩვენ მოქალაქეები ვართ?“ ამით პრაქტიკულად მასწავლებელი იწყებს გონებრივ იერიშს (შეიძლება ამის გაკეთება ასოციაციური რუკის გამოყენებით) – როგორ ესმით სტუდენტებს ცნება „მოქალაქე/მოქალაქეობა“. თუ მათ ვერსიებში გამოიკვეთება სწორი განმარტება, პედაგოგი მას დაეყრდნობა, თუ არა და სტუდენტებს წარუდგენს ასეთ განმარტებას: *„მოქალაქეობა არის ადამიანის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან. ეს კავშირი გულისხმობს ერთმანეთის წინაშე უფლება-მოვალეობების ქონას“*. ამის შემდეგ პედაგოგი მათ სთხოვს იმსჯელონ, რა უფლება-მოვალეობები აქვს მოქალაქეს სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფოს – მოქალაქის მიმართ. მსჯელობისას გამოკვეთილი ძირითადი თეზისები იწერება ფლიპჩარტის ქაღალდზე (ან დაფაზე).<br>შემდეგ პედაგოგი სტუდენტებს სთავაზობს გაეცნონ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოტანილ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, შეადარონ ისინი დაფაზე ჩამოწერილ თეზისებს.<br>ბოლოს, იმაზე დაყრდნობით, რაზეც აქამდე იმსჯელეს, პედაგოგი სტუდენტებს სთხოვს, დაფიქრდნენ, თუ რას ნიშნავს ცნება „უფლება“. გონებრივი იერიშის შედეგად უნდა გამოიკვეთოს დაახლოებით ამგვარი განმარტება: *„უფლება არის რაიმე მოქმედების ან რაიმეს კეთების, განხორციელების* |

| | | |
|---|---|---|
| შესრულების კრიტერიუმი:<br><br>3. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | *შესაძლებლობა, რაც განმტკიცებულია კანონითა და მორალით“.* უფლებათა და თავისუფლებათა ცნებაზე სტუდენტებს შეგვიძლია შევთავაზოთ, წაიკითხონ და გაარჩიონ მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“) 46-47-ე გვერდზე მოცმული ტექსტი.<br><br>**II გაკვეთილი** (უფლებათა საფუძველი)<br>ამ გაკვეთილზე სტუდენტებს ხელი უნდა შევუწყოთ იმის გააზრებაში, რომ უფლებებს საფუძვლად უდევს ადამიანის ღირსება და მოთხოვნილებები. თავდაპირველად ვთხოვოთ, ჩამოწერონ, რა მოთხოვნილებები აქვთ მათ, ასევე, რა სჭირდებათ ღირსეული ცხოვრებისათვის. შემდგომი დავალება იქნება, შედგენილი ჩამონათვალი დაუკავშირონ (შეუსაბამონ) წინა გაკვეთილზე შესწავლილ უფლებებს. სტუდენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ უფლებები რაღაც აბსტრაქტული რამე კი არაა, არამედ სავსებით ლოგიკურია და ადამიანის ცხოვრებისეული საჭიროებებიდან გამომდინარეობს (ანუ რაც აუცილებლად გვჭირდება, ე.ი. იმის უფლება გვაქვს).<br>მომდევნო აქტივობაა „უფლებათა პლაკატი“. სტუდენტებს ვთხოვთ, შექმნან ადამიანის უფლებათა პლაკატი – თაბახის ფურცლებზე მარტივი ნახატებით გამოსახონ ადამიანის უფლებები (მაგალითად, ტუჩები შეიძლება აღნიშნავდეს სიტყვის თავისუფლებას, წიგნი – განათლების უფლებას, მანქანა – გადაადგილების უფლებას და ა. შ.)<br>შემდგომ იმართება პანელური დისკუსია (პედაგოგს |

| | | |
|---|---|---|
| | | შეუძლია ამ აქტივობას თოქ-შოუს სახე მისცეს) შემდეგ საკითხებზე:<br>➢ ვინ და როგორ ზრუნავს იმაზე, რომ ჩვენი უფლებები რეალიზებული იყოს?<br>➢ დაცულია თუ არა ჩვენი უფლებები?<br>➢ გულისხმობს თუ არა უფლებები მოვალეობებსაც?<br>➢ რა მოხდებოდა, ადამიანს მხოლოდ უფლებები რომ ჰქონდეს, მოვალეობები კი არა?<br>დისკუსია/თოქ-შოუ რომ ნაყოფიერი იყოს და ზოგად საუბარში არ გადაიზარდოს, სტუდენტებს ვთხოვოთ, რომ მათ მიერვე შექმნილ პლაკატებში ასახულ კონკრეტულ უფლებებზე იმსჯელონ.<br><br>**III გაკვეთილი** (უფლებები ისტორიულ წარსულში)<br>1) გაკვეთილი დავიწყოთ შეკითხვით: „როგორ ფიქრობთ, ახლა რა უფლებებიც გვაქვს, წარსულ ეპოქებშიც გააჩნდათ ეს უფლებები ადამიანებს?“ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ სტუდენტებს დასამუშავებლად შევთავაზოთ ტექსტი შუა საუკუნეების საქართველოს გლეხის შესახებ (იხ. ქვემოთ *წასაკითხი მასალა*). მათი ამოცანა იქნება, შეადარონ (შედარებისათვის ვენის დიაგრამის გამოყენებაც შეიძლება) ამ გლეხის უფლებები თანამედროვე მოქალაქის უფლებებს და გამოავლინონ მსგავსებები და განსხვავებები. სტუდენტები დაინახავენ, რომ ისტორიულ წარსულში ადამიანებს სულაც არ ჰქონდათ ყველა ის უფლება, რაც დღეს ჩვეულებრივ ნორმად ითვლება.<br>2) უფლებების არქონა ან მათი სისტემატური დარღვევა |

| | | |
|---|---|---|
| | | გლეხთა აჯანყებების მიზეზიც არაერთხელ გამხდარა. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში დრომოჭმული ფეოდალური წყობილება სახელმწიფოს ჩამორჩენილობას განაპირობებდა, ხელს უშლიდა მის განვითარებას და უამრავ პრობლემას უქმნიდა. ეს ფაქტორები გახდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის რეფორმების, მათ შორის ბატონყმობის გაუქმების, საფუძველი. ამ საკითხის დასამუშავებლად პედაგოგს ვთავაზობთ გამოიყენოს გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემული მასალა (ისტორია, მე-12 კლასი, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 51-54 **ან** „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 80-84). მასალის დამუშავებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა მიზნით ვეცნობით მას – ყურადღება უნდა გამახვილდეს იმას, თუ როგორ შეცვალა აღნიშნულმა რეფორმებმა ადამიანის უფლებების მდგომარეობა რუსეთის იმპერიასა და მის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში.<br>3) ფეოდალურ ეპოქაში ქალაქებში მცხოვრებთა უფლებები საგრძნობლად განსხვავებოდა სოფლად მყოფი გლეხებისაგან. ამ განსხვავებების გასააზრებლად პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოები (გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 141-142, 146-147; „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“, გვ. 195-202).<br>4) საყურადღებოა, რომ დღეს ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თუმცა ისტორიული წარსულიდან ვიცით, რომ დემოკრატიის სამშობლოში – ათენის პოლისში უფლებათა კუთხით განსხვავებული ვითარება იყო. ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის |

| | | |
|---|---|---|
| | | ფენომენის გასააზრებლად, პოლისის <u>მოქალაქეთა და არამოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის</u> შესასწავლად მასწავლებელმა სტუდენტებთან შეიძლება გამოიყენოს მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 52-56, ანდა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 72-75).<br>5) დაბოლოს, ისტორიაში ცნობილია სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომლის საფუძვლადაც ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა გვევლინება. ეს გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი. მონობის წინააღმდეგ და შავკანიან ადამიანთა უფლებების დასაცავად მიმდინარე პროცესების კვლევისათვის სტუდენტებთან შეგვიძლია გამოვიყენოთ მე-12 კლასის ისტორიის სახელძღვანელოებში მოცემული რესურსები (გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 73-76, ან „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 75-79). |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 7 საგაკვეთილო საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, ტექსტების, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

## გვიანფეოდალური ხანის ქართველი გლეხი

ფეოდალურ ეპოქაში საქართველოს ეკონომიკის ძირითადი საფუძველი გლეხური მეურნეობა იყო. გლეხები ამუშავებდნენ მიწას, მოჰყავდათ მოსავალი, უვლიდნენ შინაურ პირუტყვს და ასრულებდნენ კიდევ მრავალგვარ სამუშაოს. ამასთანავე, მიწა, რომელსაც ის ამუშავებდა, ეკუთვნოდა გლეხის ბატონს – ფეოდალს. გლეხი ამ მიწის მხოლოდ მემკვიდრეობითი მოსარგებლე იყო. თავად გლეხიც პირადად არ იყო თავისუფალი და ფეოდალს (თავადს, აზნაურს, ეპისკოპოსს ან მეფეს) ეკუთვნოდა. ბატონს შეეძლო გლეხის გაყიდვა ან გაჩუქება. მართალია კანონი გლეხი უმიწოდ გასხვისებას კრძალავდა, მაგრამ ფეოდალები ზოგჯერ გლეხს უმიწოდაც ყიდიდნენ. ხანდახან ბატონი გლეხის ოჯახის წევრებს ცალ-ცალკეც ყიდიდა.

გლეხს მრავალი მოვალეობა ეკისრებოდა. იგი გადასახადებს უხდიდა თავის ბატონს, სახელმწიფოს, მის მოხელეებსა და ეკლესიას. მას უნდა გადაეხადა მარცვლეულის მოსავლის 25-30 %, ღვინის 15-30%, შინაური პირუტყვის ნამატის გარკვეული ნაწილი. იგი ვალდებული იყო დღესასწაულებზე (საშობაოდ, სააღდგომოდ, საახალწლოდ და ა.შ.) ბატონისათვის მიერთმია ძღვენი – ძროხა, ცხვარი, ქათამი, კვერცხი, ერბო, ყველი და სხვ. გარდა ამისა, ყმა-გლეხი ვალდებული იყო ბატონის მეურნეობაშიც ემუშავა (მოეხნა, დაეთესა, მოსავალი აეღო და საერთოდ ყველა სახის სამუშაო შეესრულებინა). გლეხი იხდიდა ფულად გადასახადებსაც, რის გამოც მოსავლის ან ნამატის ნაწილის გაყიდვა უხდებოდა.

დამპყრობლებისათვის გადასახდელი ხარკიც გლეხების ხარჯზე გროვდებოდა. გარდა ამისა, გლეხი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ნადირობაში და ლაშქარშიც მოეხადა სამხედრო ვალი. ამდენი გადასახდის გასტუმრების შემდეგ გლეხის ოჯახს შემოსავლის მცირე ნაწილიღა რჩებოდა, რის გამოც ხშირად შიმშილობდა.

მებატონეები ზოგჯერ გლეხს იმაზე მეტ გადასახადს ართმევდნენ, ვიდრე დაწესებული იყო. მეფეები ცდილობდნენ, რომ გლეხები უსამართლოდ დაჩაგვრისაგან დაეცვათ, მაგრამ მათ მიერ გამოცემული კანონები ფეოდალსა და გლეხს უთანასწორო პირობებში აყენებდა. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის სამართალში აღნიშნულია, რომ „ბატონს ყმის სულის გარდა ხელი ყველაფერზე მიუწვდებაო“. გლეხები ცდილობდნენ თავისი ისედაც მცირე უფლებების დაცვას. ზოგი გარბოდა თავისი ბატონისაგან და თავს სხვასთან აფარებდა (ასეთ გლეხებს ხიზნებს ეძახდნენ), ზოგიც მეფესთან ან სასამართლოში ცდილობდა სამართლის პოვნას. ჩვენამდე მოღწეულია XVIII საუკუნის დოკუმენტი, რომელიც გადმოგვცემს ერთი გლეხის – თამაზ ქურციძის სათხოვარს ერეკლე II-სადმი და მეფის პასუხს ამ საჩივარზე:

*„ღმერთმა ბედნიერი ხელმწიფის ჭირი მისცეს ფრცველს დავითის შვილს, ზაალის ყმას – ქურციძე თამაზას. შინდიშს თავყელიშვილთან ხიზნად გახლავარ. რაც შეძლება მაქვს ბატონს ჩემსაც ვემსახურები და თავყელიშვილსაცა. ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია, გამლახა, ერთი ხარი და ერთი ხბოიანი ფური წამართო. არ ვიცი რა დანაშაული მაქვს. ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგას ფრცას წავაო და მე აღარას მემსახურებაო და იმისთვის ამიკლო. სხვა დანაშაული არ გამაჩნია რა. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. 12 იანვარი, 1779 წელი“.*

ერეკლე მეფეს თავისი ბრძანება ამავე წერილის არშიაზე დაუწერია:

*„ჩვენი ბრძანება არის, იასაულო ხერხეულიძე ავთანდილ, რაც თავყელიშვილს ამ კაცისათვის წაურთმევია, ახლავე გამოურთვი, მოეც. თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში ალაპარაკე. 15 იანვარი, 1779 წელი“.*

**გაკვეთილების სერია თემაზე:** ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| <u>შედეგი:</u><br>4. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:** | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ცოდნა აქტიურ მოქალაქეობაში გვეხმარება;<br>✓ ადამიანის უფლებების დოკუმენტირება ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო, რომელმაც თანამედროვე მდგომარეობამდე სანამ მოაღწია, მრავალი საუკუნე გამოიარა. |
| | **რესურსები** | სამოქალაქო განათლება, მე-10 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, გვ. 41-45, 117-122. |

| | | |
|---|---|---|
| 2. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში; | | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 238-240; 373-382. https://civiledu.wordpress.com/2013/04/05/ინგლისის-თავისუფლების-დი/ <br>დანართი: ადამიანის უფლებები საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHf0877861c7b833d8b38f87.1 |
| **შედეგი:** <br>2. მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა; <br>**შესრულების კრიტერიუმი:** <br>5. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე; | **გაკვეთილების მსვლელობა** | სასურველია, თავდაპირველად პედაგოგის თხოვნით სტუდენტებმა გაიხენონ მათ მიერ უკვე შესწავლილი საქართველოს კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება. შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: კონსტიტუციის გარდა, თუ იციან სტუდენტებმა სხვა დოკუმენტები, რომელიც ადამიანის უფლებებს განსაზღვრავენ. <br>ამის შემდეგ პედაგოგს შეუძლია გრიფირებულ სახელმძვანელოებში თუ ინტერნეტში მოძიებული მასალების გამოყენებით სტუდენტებს დაამუშავებინოს საქართველოს პირველი კონსტიტუციის, თავისუფლებათა დიდი ქარტიის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძირითადი პრინციპები, მათი მიღების განმაპირობებელი საფუძვლები. |

| | | |
|---|---|---|
| 6. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br><u>შედეგი:</u><br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>4. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 6 საგაკვეთილო საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

**დანართი**

## ადამიანის უფლებები 1921 წლის კონსტიტუციაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა გარანტიებს თითქმის მთლიანი ტექსტის ნახევარი დაეთმო. ამ უფლებებს სამი თავი ეთმობა: თავი მეორე — მოქალაქეობა; თავი მესამე — მოქალაქის უფლებანი; თავი მეშვიდე — სოციალ-ეკონომიკური უფლებანი. მესამე თავი წარმოადგენს კონსტიტუციის ყველაზე სრულყოფილ ნაწილს, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები. მართალია, ამ თავს „მოქალაქის უფლებანი" ეწოდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში მოხსენიებული უფლებებისა და თავისუფლებების ნუსხა უცხოელებზე ან მოქალაქეობის არმქონე პირებზე არ ვრცელდება. ეს თავი, ძირითადად, ეხება ადამიანის პირად და პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური უფლებები მოცემულია მეცამეტე თავში. იმაზე, რომ 1921 წლის კონსტიტუცია გამოირჩევა ადამიანის უფლებათა განმტკიცებით, მეტყველებს მეთოთხმეტე თავიც, რომელიც მთლიანად ეძღვნება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

### თ ა ვ ი II. მოქალაქეობა

მუხლი 12.
საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.
საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.
საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

### თ ა ვ ი III. მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.
მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.
წოდებრივი განსხვავება არარსებობს.

მუხლი 19.
სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.
არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 22.
პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 24.
დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც; თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მისვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 25.
როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.
სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან

დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 28.
ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 29.
კერძო მიწერ–მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 30.
ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 31.
ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.
სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევის, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 32.
ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 33.
საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 34.
თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მუხლი 38.
მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 39.
ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 41.
პოლიტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 45.
კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

**თავი XIII. სოციალ–ეკონომიკური უფლებანი**

მუხლი 113.
რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 116.
წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხალოსანის, შინამრეწველის – შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია. რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის
აყვავება.

მუხლი 117.
შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის

განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 119.
უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით. ან დაზღვევის სახით.
მუხლი 123.
ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 124.
წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია: 16–18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 126.
განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

**თ ა ვ ი XIV. ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი**

მუხლი 129.
არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე როვნული  უმცირესობის თავისუფალი საციალ–ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა–ენით სწავლა–აღზრდა და ეროვნულ–კულტურულ საქმეთა შინაური მართვა–გამგეობა.
ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 135.
ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 137.
არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა–ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

**გაკვეთლების სერია თემაზე:** პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები

<table>
<tr><th>სწავლის შედეგები და კრიტერიუმები</th><th colspan="2">გაკვეთილის პირობები და მსვლელობა</th></tr>
<tr><td rowspan="4"><u>შედეგი:</u><br>7. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>შესრულების კრიტერიუმი:<br><br>3. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს</td><td>მიზანი/ მიზნები</td><td>სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა ?<br>✓</td></tr>
<tr><td>რესურსები</td><td>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია.</td></tr>
<tr><td>გაკვეთილების მსვლელობა</td><td>I გაკვეთილი<br>გაკვეთილს<br>დეკლარაცია, მუხლი 29. „1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება“ (წიგნი 1. გვ. 35)</td></tr>
<tr><td>გაკვეთილის ხანგრძლივობა</td><td>6 საგაკვეთილო საათი</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br>__შედეგი:__<br><br>2. მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>8. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>9. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას; | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

| | | |
|---|---|---|
| <u>შედეგი:</u><br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>5. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

**გაკვეთლების სერია თემაზე:** უფლებადამცველები (სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები)

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| <u>**შედეგი:**</u><br>10. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>4. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br><u>**შედეგი:**</u><br><br>2. მრავალფეროვან | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა<br>✓ |
| | **რესურსები** | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია. |
| | **გაკვეთილების მსვლელობა** | **I გაკვეთილი**<br>გაკვეთილს |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 6 საგაკვეთილო საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>11. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>12. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br><u>შედეგი:</u><br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | | |

| | | |
|---|---|---|
| შესრულების კრიტერიუმი:<br><br>6. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

**გაკვეთლის თემა:** ტრეფიკინგი

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| **შედეგი:**<br>13. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>5. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br>**შედეგი:**<br><br>2. მრავალფეროვან | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა<br>✓ |
| | **რესურსები** | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე", გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია. |
| | **გაკვეთილების მსვლელობა** | **I გაკვეთილი**<br>გაკვეთილს |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 6 საგაკვეთილო საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თვალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>14. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>15. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br>**შედეგი:**<br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | | |

| | | |
|---|---|---|
| **შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>7. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

**გაკვეთლების სერია თემაზე:** მონაწილეობის კულტურა

<table>
<tr><th>სწავლის შედეგები და კრიტერიუმები</th><th colspan="2">გაკვეთილის პირობები და მსვლელობა</th></tr>
<tr><td rowspan="5"><u>შედეგი:</u><br>16. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>შესრულების კრიტერიუმი:<br><br>6. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br><u>შედეგი:</u><br><br>2. მრავალფეროვან</td><td>მიზანი/ მიზნები</td><td>სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა<br>✓</td></tr>
<tr><td>რესურსები</td><td>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია.</td></tr>
<tr><td>გაკვეთილების მსვლელობა</td><td>I გაკვეთილი<br>გაკვეთილს</td></tr>
<tr><td>გაკვეთილის ხანგრძლივობა</td><td>6 საგაკვეთილო საათი</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>17. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>18. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br>**შედეგი:**<br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | | |

| | | |
|---|---|---|
| **შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>8. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

**გაკვეთლების სერია თემაზე:** თვითმმართველობის საფუძვლები

<table>
<tr><th>სწავლის შედეგები და კრიტერიუმები</th><th colspan="2">გაკვეთილის პირობები და მსვლელობა</th></tr>
<tr><td rowspan="5"><u>შედეგი:</u><br>19. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>შესრულების კრიტერიუმი:<br><br>7. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br><u>შედეგი:</u><br><br>2. მრავალფეროვან</td><td>მიზანი/ მიზნები</td><td>სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა<br>✓</td></tr>
<tr><td>რესურსები</td><td>ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია.</td></tr>
<tr><td>გაკვეთილების მსვლელობა</td><td>I გაკვეთილი<br>გაკვეთილს</td></tr>
<tr><td>გაკვეთილის ხანგრძლივობა</td><td>6 საგაკვეთილო საათი</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>20. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>21. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br>**შედეგი:**<br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | | |

| | | |
|---|---|---|
| **შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>9. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

**გაკვეთლის თემა:** საჯარო ინფორმაციის მოპოვება

| სწავლის შედეგები და კრიტერიუმები | გაკვეთილის პირობები და მსვლელობა | |
|---|---|---|
| **შედეგი:**<br>22. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გაცნობიერება.<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>8. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;<br><br>**შედეგი:**<br><br>2. მრავალფეროვან | **მიზანი/ მიზნები** | სტუდენტების ხელი შევუწყოთ გაიაზრონ, რომ:<br>✓ მოქალაქეობა<br>✓ |
| | **რესურსები** | ისტორია. მე-11 კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „დიოგენე“, გვ. 318-322; 373-382.<br>https://ka.wikipedia.org/wiki/ვარდების რევოლუცია. |
| | **გაკვეთილების მსვლელობა** | **I გაკვეთილი**<br>გაკვეთილს |
| | **გაკვეთილის ხანგრძლივობა** | 6 საგაკვეთილო საათი |
| | **შეფასება** | გაკვეთილების ამ სერიის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე. |

| | | |
|---|---|---|
| საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა;<br><br>**შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>23. არგუმენტირებულად მსჯელობს კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე;<br>24. ასაბუთებს, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში სხვის თავისუფლებებს საკუთარი უფლებების დაცვისას;<br><br><u>შედეგი:</u><br><br>6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყ-ნის ადგილისა და როლის დანახვა. | | |

| | | |
|---|---|---|
| **შესრულების კრიტერიუმი:**<br><br>10. არგუმენტირებულად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე; | | |

* * *

## თემატური ბლოკის შეჯამება და სტუდენტების შეფასება

პედაგოგებს ვთავაზობთ მესამე თემატური ბლოკის – „სახელმწიფო და მოქალქე“ – შემაჯამებელი აქტივობების ნიმუშებს თავისი შეფასების რუბრიკებით.

პედაგოგი თემის - „**სახელმწიფო და მოქალაქე”** - სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტებს სთავაზობს, აირჩიონ ქვემოთ მოცემული შემაჯამებელი დავალებებიდან ერთ-ერთი, რომელიც თემატური ბლოკის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინონ.

დავალების არჩევის შემდეგ სტუდენტმა უნდა შეასრულოს პროექტული ხასიათის დავალებათაგან ერთ-ერთი შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- ✓ Power Point-ში ან Prezi-ში მომზადებული პრეზენტაცია;

- ✓ ვენის დიაგრამის ან T დიაგრამის მეშვეობით შედარებითი ანალიზი;
- ✓ ანალიტიკური თხზულება;
- ✓ კვლევითი ხასიათის თხზულება;
- ✓ ბუკლეტი, ფლაერი, კედლის გაზეთი და სხვ.

1) ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტების (საქართველოს პირველი და თანამედროვე კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სხვ.) შედარებითი ანალიზი (წარმოდგენილი ცხრილის ან ვენის დიაგრამის სახით);

2) კვლევითი ხასიათის თხზულება „ადამიანის უფლებათა ისტორია“, სადაც ნაჩვენები იქნება, როგორი იყო ადამიანის უფლებები სხვადასხვა ეპოქაში და როგორ მოვიდა კაცობრიობა ამჟამინდელ მდგომარეობამდე ადამიანის უფლებათა სფეროში;

3) მოხალისეობრივ საწყისებზე რომელიმე პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ჯგუფური პროექტის დაგეგმვა და განხორციელება. პროექტის ფარგლებში თვითმმართველობის ორგანოსთან/სახელმწიფო უწყებასთან ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა;

4) სტუდენტთა ჯგუფის მიერ სასამართლოდან ადამიანის რომელიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევის შესახებ განხილული საქმის გამოთხოვა კაზუსის სახით და მასზე დაყრდნობით იმიტირებული სასამართლო სხდომის გამართვა;

4) ბუკლეტის/ფლაერის სახით „ღირსეული მოქალაქის სამახსოვროს“ მომზადება, სადაც გადმოცემული იქნება მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება დაიცვას მოქალაქემ თავისი და სხვისი უფლებები, ასევე, როგორ და რატომ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

5) დებატების[6] მოწყობა თემაზე: „დაცული უნდა იყოს თუ არა დასაქმებულთა უფლებები?“

---

[6] დებატების წარმართვის ინსტრუქცია იხ. მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 148-155.

რასაკვირველია, ნებისმიერ შემაჯამებელ დავალებას სჭირდება შეფასების რუბრიკა, რომელიც სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს, რათა ნამუშევრის შესრულებისას სწორი ორიენტირი ჰქონდეს. გთავაზობთ შეფასების რუბრიკების ნიმუშებს თითოეული შემაჯამებელი დავალებისათვის. რა თქმა უნდა, პედაგოგს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს, მოაკლოს ან დაამატოს რუბრიკაში მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

1. ანალიტიკური ნაშრომი ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტების შესახებ

| ნაშრომის შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |
| ნაშრომში გამოყენებულია ცხრილი ან ვენის დიაგრამა | |
| შესრულებული დავალება შინაარსობრივად კორექტულია/ დავალებაში მოტანილი ინფორმაცია სანდოა | |
| ნამუშევარი ენობრივად გამართულია | |
| ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს | |
| ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას | |
| მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია | |

2. კველვითი ხასიათის თხზულება ადამიანის უფლებათა შესახებ

| თხზულების შეფასების რუბრიკა | |
|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | კრიტერიუმის წონა |
| შეესაბამება შესაჯამებელ თემას | |